ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 208 (16029)

5 სექტემბერი ხუთშაბათი
1974
ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის საავტომობილო ქარხნის (საწარმოო გაერთიანება) კოლექტივის ინიციატივა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარებისა და ამ საფუძველზე უმაღლესი ხარისხის პროდუქციის საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დიდი აღფრთოვანებით შრომობენ წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ამოცანათა შესრულებისათვის, რომლებიც დასახეს სკკპ XXIV ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის გაერთიანების საწარმოთა პარტიული კომიტეტები, პარტიული ორგანიზაციები და პროფკავშირული ორგანოები ეწევიან დიდ ორგანიზატორულ მუშაობას წარმოების ხელახალ ტექნიკურ აღჭურვაში და მაღალი ხარისხის პროდუქციის საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის მშრომელთა დარაზმვაში, სამეურნეო ანგარიშისა და მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებაში თვითეული მუშაკის როლის გაძლიერებისათვის. ამ მიზნით ფართოდ იყენებენ პარტიულ და მუშათა კრებებს, სოციალისტურ შეჯიბრებას, კადრების ეკონომიურ სწავლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში თანმიმდევრულად ხორციელდება ტექნიკური პროგრესის განვითარებისა და ავტომობილების ხარისხის გაუმჯობესების კურსი. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის მუშაობაში გაერთიანება მჭიდროდ თანამშრომლობს ბევრ სამეცნიერო ორგანიზაციასთან. მათი მონაწილეობით იგი ახორციელებს პროგრესული ტექნოლოგიის, ძირითადი და დამხმარე ოპერაციების მექანიზაციის დანერგვის, მასალატევადობის შემცირებისა და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანების კოლექტივის ინიციატივას — შექმნას და მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა და მოწინავე პრაქტიკის ფართო დანერგვის, ტექნიკის სრულყოფისა და წარმოების ორგანიზაციის, შინაგანი რეზერვების უფრო სრული გამოყენების გზით და მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით აამოქმედოს საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც უზრუნველყოფენ წელიწადში 20 ათასი ცალით მეტი სატვირთო ავტომობილების გამოშვებას, ვიდრე დასახულია საწარმოს რეკონსტრუქციის პროექტით, 1975 წელს განახორციელოს გადასვლა ზილ-133 ახალი, უფრო მწარმოებლური სატვირთო ავტომობილების წარმოებაზე, მიაღწიოს ზილ-130 სერიული ავტომანქანების გარბენის გადიდებას 300 ათასი კილომეტრით კაპიტალური რემონტის გარეშე. გარდა ამისა, დასახულია ხუთწლედის დარჩენილ პერიოდში პროდუქციის რეალიზაციის საგეგმო დავალებებს გადააჭარბონ 28 მილიონი მანეთით და შრომის ნაყოფიერებისას — 10 პროცენტით. გათვალისწინებულია სულ ცოტა 75 პროცენტამდე გაზარდონ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება წარმოების საერთო მოცულობაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული ორგანიზაციისა და მთელი კოლექტივის ინიციატივა — 1974-1975 წლებში წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარებისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში და საწარმოს პარტიულ კომიტეტს დაავალა განაგრძოს მუშაობა ამ შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის იმ მიზნით, რომ კოლექტივმა მიაღწიოს სამეურნეო საქმიანობის მაღალ შედეგებს.

რიტმული შრომით

□ **თბილისი.** სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის კოლექტივი რიტმულად და გამართულად შრომობს განმსაზღვრელი წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების ვადამდე განაღდებისათვის. ელექტროსადგურის კოლექტივმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით შეასრულა მიმდინარე წლის მეორე კვარტალის გეგმა, გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა.

ელექტროსადგურის კოლექტივმა წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობა. განვლილ რვა თვეში გეგმის გადამეტებით გამოიმუშავა 100 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. შრომითი კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ მესამე კვარტალშიც შეინარჩუნოს მაღალი ჯილდო და ვადამდე შეასრულოს წლის გეგმა.

□ **ჭიათურა.** (საქ. კორ. პ. ჭიოკაძე). ახალი წარმატება მოიპოვეს ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან. ქართველი მაღაროელები დროს ასწრებენ. მარგანეცის ტრესტმა 22 აგვისტოსათვის შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების რვა თვის გეგმა და მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათეულ ათასობით ტონა პირველი ხარისხის მარგანეცი.

მაღაროელებმა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით შვიდ თვეში დაზოგეს 1.083 ათასი მანეთი, სამშობლოს მისცეს 4.365 ათასი მანეთი მოგება, საიდანაც 868 ათასი მანეთი ზეგეგმითია.

ზეგეგმით მარგანეცს იძლევიან ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის, სტალინის, დიმიტროვის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროთა კოლექტივები.

□ **ტყიბული.** (საქ. კორ. ვ. ცირეკიძე.). ხუთწლედის შრომითს ვახტზე დგას და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ორჯონიკიძის სახელობის შახტის (დირექტორი ივ. ორჯონიკიძე). კოლექტივი მოწინავე საწარმომ ვადაზე 12 დღით ადრე შეასრულა რვა თვის დავალება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ის საექსპლოატაციო უბნები, რომლებსაც გამოჩენილი სამთოელები ბ. ქარქაშაძე და ვ. ჩიფიძე უდგანან სათავეში. ორჯონიკიძელებმა რვა თვის გეგმის გადამეტებით ამოიღეს 10 ათასი ტონა ქვანახშირი.

□ **ფოთი.** (საქ. კორ. გ. ნოდია) აღფრთოვანებულნი თავიანთი შრომის მაღალი შეფასებით, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ნავსადგურის ნოვატორი მუშის, უფროსი მეამწის, ლენინის ორდენოსანი გივი გუგუშვილის სახელზე გამოგზავნილი წერილით გამოიხატა, — აგვისტო და სექტემბერი დამკვრელურად გამოაცხადეს ნავსადგურის მუშებმა.

კომუნისტური შრომის ბრიგადებმა და ამწეთა ეკიპაჟებმა ნავსადგურში შემოსული ყველა გემი ვადაზე 2 საათით დაამუშავეს და თვის გეგმის გადამეტებით ასეულობით ტონა სახალხო სამეურნეო ტვირთი გადაამუშავეს, 8 თვეში მიღებულია 100 ათასი მანეთი მოგება.

აგვისტო დამკვრელური შრომით აღნიშნეს გ. გუგუშვილის კოლეგებმა ჯ. გულუამ, მ. ნადარაიამ, დ. კულუამ, ბ. კუპრავამ, შ. აბაკელიამ, ა. ქორიავამ, გ. მათითაშვილმა, რომლებიც ტვირთბრუნვის ყოველდღიურ გეგმებს 115-120 პროცენტით ასრულებენ.

ფოთელი მენავსადგურეები იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური გეგმა და ვალდებულება 20 დეკემბრისათვის გაანაღდონ.

□ **ზუგდიდი.** საკონსერვო ქარხნის (დირექტორი გ. სოსელია). კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება, შემხვედრი გეგმა-ვალდებულებით გადაწყვიტა წლის ბოლომდე 6 მილიონ 700 ათასი ქილა კონსერვი გამოეშვა, რაც შარშანდელზე 770 ათასი ქილა კონსერვით მეტია.

წელს 8 თვეში ზუგდიდელმა მეკონსერვეებმა 400 ათასი ქილა კონსერვით მეტი გამოუშვეს, ვიდრე შარშან. მეკონსერვეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

□ **თელავი.** (საქ. კორ. ა. თვალიაშვილი). ყოველდღიურად სასახელო წარმატებებს აღწევს საკონსერვო ქარხნის (დირექტორი ა. ყურაშიძე) კოლექტივი. მეკონსერვეებმა წელს 8 თვეში გეგმით გათვალისწინებული 2.825 ათასი პირობითი ქილის ნაცვლად გამოუშვეს 4.543 ათასი პირობითი ქილა სხვადასხვა სახის კონსერვი.

ქარხანამ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 142 პროცენტით, შეასრულა, ხოლო მოგების დაგროვების გეგმა — 124,4 პროცენტით.

ამჟამად ქარხანა ამუშავებს ახალი მოსავლის დიდძალ პამიდორს, თესლოვანსა და კურკოვან ხილს.

5 ხუთწლედის გადამწყვეტ წელს — დამკვრელური შრომა!

წარმოებასა და პლანტაციაში

მათ თავი გამოიჩინეს

ზესტაფონი. (საქ. კორესპონდენტი). გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანაში ერთ-ერთი წამყვანია მექანიკური საამქრო. ამ საამქროს კოლექტივის გამართულ შრომაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი ქარხნის შეუფერხებელი, მაღალნაყოფიერი მუშაობა. მექანიკური საამქროს კოლექტივში პროფესიული დახელოვნებით, უნარითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა კომუნისტური შრომის დამკვრელი ზეინკალი ზურაბ გვალია. იგი სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულია, ყოველდღიურ დავალებას ორმაგად და მეტად ასრულებს. ქარხნის პროფკავშირის კომიტეტში ახლახან შეაჯამეს ზ. გვალიას შრომის შედეგები, აღმოჩნდა, რომ მან მეცხრე ხუთწლედის პირადი გეგმა უკვე კარგა ხანია შეასრულა და ამჟამად 1977 წლის ანგარიშში მუშაობს. მისი გადაწყვეტილებაა ამ ხუთწლედში მომავალი ხუთწლედის პირადი გეგმა შეასრულოს.

სურათზე: (ზემოთ): ზ. გვალია.

ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა სულ უფრო ფართოდ ინერგება წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებსა და წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. საგულისხმო ის არის, რომ ჩაის საკრეფი მანქანების საჭეს მიუსხდნენ არა მარტო ვაჟები, არამედ ქალებიც.

მარჯვენას უქებენ სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორს მზია ქარდავას. იგი კარგად არის დაუფლებული ტექნიკას და ჩაის საკრეფ მანქანას შეუფერხებლად ამუშავებს. წელს მზია ქარდავას გადაწყვეტილება იყო მოეკრიფა 28 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაგრამ ამას როდი დასჯერდა, უკვე მოკრიფა 32 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და კვლავ განაგრძობს კრეფას.

სურათზე: (ქვემოთ) თქვენ ხედავთ მზია ქარდავას, რომელიც პლანტაციაში ჩაის ფოთოლს კრეფს მანქანით.

ნ. ხოჯანაშვილისა და შ. ჩხეტიანის ფოტო.

მტკიცდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა

ჩვენს ქვეყანაში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც მიეძღვნა ორი ქვეყნის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მესამე წლისთავს და ინდოეთის დამოუკიდებლობის 27 წლისთავს. ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი კრებები და შეხვედრები გაიმართა ბევრ ქალაქსა და სოფელში, მოეწყო ფოტოგამოფენები, რომლებიც ასახავენ ინდოელი ხალხის ცხოვრებას, დემონსტრირებული იყო ინდური ფილმები.

საბჭოთა და ინდოეთის საზოგადოებრიობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების ეროვნული საბჭოს პრეზიდენტისადმი კ. პ. შ. მენონისადმი ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინის მისალმებელ დეპეშას სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მესამე წლისთავის გამო.

ერთთვიურის ბევრ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. შ. შელვანკარი და ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელთა დელეგაციის წევრები საზოგადოების ეროვნული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის, ინდოეთის პარლამენტის წევრის ბ. ჩ. მაპანტას მეთაურობით.

მოსკოვში საღამოზე, რომელიც საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთთვიურის დახურვას მიეძღვნა, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მინისტრმა ნ. ვ. გოლდინმა და საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ერთთვიური გადაიქცა სსრ კავშირისა და ინდოეთის სულ უფრო მზარდი მეგობრობისა და ურთიერთნდობის მკაფიო დემონსტრაციად. გასულმა წლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება გახდა აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორი.

ინდოეთის რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში კ. შ. შელვანკარმა ილაპარაკა ერთთვიურის წარმატებებზე და ხაზი გაუსვა მის დიდ მნიშვნელობას ინდოეთისა და სსრ კავშირის ტრადიციული მეგობრობისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის. (საქდესი).

გამოიცა ქართულ ენაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეოთხე ტომი „ლენინური კურსით“. წიგნში შეტანილია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, მოხსენებები და გამოსვლები, რომლებიც 1972-1974 წლებს განეკუთვნებიან. (საქინფორმი).

ხელოვნება ადიდებს მეგობრობას

გაიხსნა ბულგარეთის კულტურის დღეები

□

კანტატა „მეგობრობა“, რომელიც 3 სექტემბერს აჟღერდა კრემლის ყრილობათა სასახლის თაღებქვეშ, საბჭოთა კავშირში ბულგარეთის კულტურის დღეების თავისებური ლაიტმოტივი გახდა. ეს დღეები გაიხსნა მოძმე ქვეყნის ხელოვნების იმ წამყვანი ოსტატებისა და კოლექტივების საზეიმო კონცერტით, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავის დღესასწაულობასთან დაკავშირებით.

დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვის საწარმოთა მუშები, კულტურის მოღვაწენი. ისინი გულთბილად მიესალმნენ ბულგარეთის ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ალექსანდრე ლილოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დიმიტრი ჟულევს, სხვა ბულგარელ ამხანაგებს.

საზეიმო გახსნას დაესწრნენ ამხანაგები პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. თ. შაური, სხვა ოფიციალური პირნი.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. ი. პოპოვმა ბულგარელ მეგობრებს მიულოცა ხელოვნებისა და მეგობრობის დღესასწაულის გახსნა.

საპასუხო სიტყვაში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე პავლე მატევი საბჭოთა ხალხს მხურვალედ მიესალმა ბულგარეთის მშრომელთა სახელით. მან ილაპარაკა ბულგარელი ხალხის მიღწევებზე, რომელიც ახალ სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ყოველმხრივ თანამშრომლობაზე.

აჟღერდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დიდ საზეიმო კონცერტში, რომელმაც ჩაიარა დევიზით „საუკუნეებში და საუკუნოდ შობილი“, მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის ხელოვნების საუკეთესო კოლექტივებმა და სოლისტებმა. მათ მოსკოვში ჩამოიტანეს სიმღერები და ლექსები ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ძმობის, მეგობრობისა და მშვიდობის, განახლებულ მიწა-წყალზე ბედნიერი შრომის შესახებ.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თემატურმა კომპოზიციამ, რომელშიც შეტანილი იყო კინოკადრები. ამ კინოკადრებზე აღბეჭდილია ბულგარელი ხალხის სახელოვანი ისტორიის უდიდესი მოვლენები თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის გზაზე. მაყურებლებმა ეკრანზე დაინახეს ვ. ი. ლენინი და გ. დიმიტროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ტ. ჟივკოვის გამოსვლები. სტუმრებმა შთაგონებით შეასრულეს ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის კომპოზიტორების ვლადიგეროვისა და შოსტაკოვიჩის, პიპკოვისა და ალექსანდროვის, რაიჩევისა და კაბალევსკის ნაწარმოებები.

მაყურებლებმა ამ საღამოს მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს ნიჭიერი ბულგარელი მომღერლები, მოცეკვავეები, მუსიკოსები, რომლებმაც თავიანთი ხელოვნებით ცხადყვეს ეროვნული კულტურის არნახული აყვავება.

სვ. ობრეტენოვის სახელობის საგუნდო კაპელა თავისი სოციალისტური სამშობლოს თანატოლია. მისი მსახიობები — ბულგარული მუსიკის მგზნებარე პროპაგანდისტები არიან როგორც თავიანთ ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ბევრ სახელმწიფოშია ცნობილი ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „პირინის“ შემოქმედებაც. მას არაერთხელ გაუმარჯვია საერთაშორისო მუსიკალურ დათვალიერებებში. ანსამბლი შეიქმნა თითქმის 20 წლის წინათ და მას შემდეგ ემსახურება ეროვნული ფოლკლორის მდიდარი საგანძურის განვითარებას. ამ კოლექტივებთან ერთად კრემლის სცენაზე გამოვიდნენ ბულგარეთის სახალხო არმიის ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფი, ვლ. მაიაკოვსკის სახელობის ანსამბლი, სოფიის პიონერთა ანსამბლი და სხვ.

კონცერტის პროგრამა დაამშვენეს ოპერისა და ბალეტის თეატრების სოლისტებმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა მუსიკოსებმა. მათ შორის იყვნენ ა. ტომოვა-სინტოვა, ვ. კიროვა, ს. მილანოვა, ნ. გიუზელევი, ვ. დოიჩევა, პ. გერჯიკოვი და სხვები. დიდი წარმატება ხვდა წილად კონცერტის ყველაზე ნორჩ მონაწილეს 11 წლის ემილ ნაუმოვს. მან შეასრულა ფრაგმენტი საკუთარი კონცერტიდან, ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

კონცერტის დასასრულს ყველა მონაწილემ და დარბაზში მყოფმა აღმავლობით შეასრულა პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. (საქდესი).

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კონტრაქტი

3 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს დიდ კონტრაქტს სრულიად საკავშირო გაერთიანება „ნავთობქიმმრეწველექსპორტისა“ და უნგრეთის საგარეო-სავაჭრო საწარმოს „ხემაკომპლექსს“ შორის. ამ კონტრაქტის შესაბამისად საბჭოთა კავშირიდან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში გაგზავნიან კომპლექტურ მოწყობილობას, ტისის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პირველი რიგის მშენებლობისათვის წელიწადში 3 მილიონი ტონა ნავთობის სიმძლავრის ამ საწარმოს აშენებენ ქალაქ ლენინვაროშის რაიონში.

ქარხანა ნავთობს მიიღებს საბჭოთა კავშირიდან „მეგობრობის“ ნავთობსადენით. (საქდესი).

კიდით კიდემდე

ტოლიატი. (საქდესის კორ.). ვოლგის საავტომობილო ქარხნის მოქმედი საამქროების გვერდით დაიწყო დაახლოებით მეოთხედი მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი კორპუსების მშენებლობა. მათში განლაგდება წარმოებანი, რომლებიც „ჟიგულის“ სათადარიგო ნაწილების გამოშვების გაფართოების საშუალებას მისცემენ. აქ აგრეთვე დაამზადებენ ახალი მოდიფიკაციის მანქანების დეტალებსა და კვანძებს.

დივნოგორსკი. (საქდესის კორ.). კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის აღმრიცხველებმა აღრიცხეს მეასე მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რომელიც სადგურმა გამოუშვა 1967 წლის ნოემბერში პირველი ორი აგრეგატის ამუშავების მომენტიდან. ამდენი ელექტროენერგია ასეთ მოკლე დროში არ გამოუმუშავებია მსოფლიოს არც ერთ ჰიდროელექტროსადგურს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ მშენებლებმა „კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგური სამრეწველო ექსპლოატაციისათვის ორი წლის წინათ გადასცეს.

საბჭოეთი: ახალი ამბები

დიდია ენისეის გოლიათის როლი აღმოსავლეთ ციმბირის საწარმოო ძალების განვითარებაში. მისი იაფი ელექტროენერგიის ბაზაზე კრასნოიარსკში პროდუქციას უშვებენ დიდი ალუმინის ქარხანა, დიდი ქიმიის საწარმოთა ჯგუფი და სხვა ენერგოტევადი საწარმოები. ელექტროგადამცემი მძლავრი ხაზებით იგი მიდის საიანის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის სამშენებლო მოედნებზე, კანსკ-აჩინის მური ქვანახშირის აუზის კარიერებში, კრასნოიარსკის მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შეუერთდა ციმბირის ენერგეტიკულ სისტემას.

დნესტროვსკი, (მოლდავეთის სსრ). (საქდესის კორ.). მოლდავეთის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში აამუშავეს 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეათე ენერგობლოკი. როგორც მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივის ვალდებულებაში იყო აღნიშნული, ენერგობლოკმა სამრეწველო ენერგია გამოუშვა დაგეგმილ ვადაზე ერთი თვით ადრე.

რესპუბლიკის უდიდეს სადგურში ვადამდე ამუშავდა სამივე ახალი აგრეგატი. ბოლო მათგანმა — მეათემ სადგურის სიმძლავრე ორ მილიონ კილოვატამდე გაზარდა.

ამურის კომსომოლსკი. (საქდესის კორ.). კალის ახალი საბადო აღმოაჩინა გეოლოგთა პარტიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ვალენტინა უსი. ეს საბადო მდებარეობს დუსე-ალინის ქედის განშტოებებში. გამდიდრებულ ქვიშას გადაამუშავებენ სოლნეჩნის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში. სამრეწველო მნიშვნელობის კალის ასეთი საბადო ხაბაროვსკის მხარეში პირველად არის დაზვერილი.

მეგობრობის სახლში

2 სექტემბერს მეგობრობის სახლში საზეიმოდ გაიხსნა ფოტოგამოფენა „ბულგარეთი დღეს“, რომელიც მიეძღვნა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავს. ფოტოსურათებში ასახულია მოძმე ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები. (საქდესი).

შეიმუშავებენ კონკრეტულ წინადადებებს

კიევი. (საქდესი). 3 სექტემბერს უკრაინის დედაქალაქში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფის მეთხუთმეტე სხდომა. ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, აგრეთვე იუგოსლავიის სპეციალისტები შეიმუშავებენ კონკრეტულ წინადადებებს ცელულოზაზე, ქაღალდსა და მუყაოზე ამ ქვეყნების მოთხოვნილებათა შემდგომი დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, ვარაუდობენ განიხილონ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ერთობლივი მშენებლობის, სპეციალიზაციისა და კოოპერაციის გაფართოების საკითხები სოციალური ეკონომიური ინტეგრაციის ფარგლებში.

ეს დღეები სოფლად

თამბაქოს შეტეხა

თამბაქოს შეტეხის სამუშაოები ძირითადად სექტემბერში უნდა დამთავრდეს. ცოტა დროა დარჩენილი გეგმის შესრულებისათვის. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით რესპუბლიკაში შეტეხილია 90.100 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, რაც გეგმის 53 პროცენტს შეადგენს.

აფხაზეთის მეთამბაქოეებმა გეგმით უნდა შეტეხონ 81.778 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, გეგმა შესრულებული აქვთ 51 პროცენტით, აჭარაში თამბაქოს შეტეხის დავალება შესრულებულია 55 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონში — 58 პროცენტით, მარნეულის — 53 პროცენტით, ხოლო ბოლნისის რაიონში — 50 პროცენტით.

წლიური გეგმა შეასრულეს

ჭიათურის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ახალი წარმატება მოიპოვეს — ვადამდე დიდი ხნით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.867 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.850 ცენტნერისა.

წლიური გეგმის გადამეტებით ხორცის დამზადება გრძელდება. ეს რედაქციას აცნობეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვაშაძემ და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატიშვილმა.

ჩაი მეათე ხუთწლედის ანგარიშში

პლანტაციის კარგი მოვლით და ფოთლის ყოველგვარ ამინდში კრეფის შედეგად ხობის რაიონში ბევრმა მეჩაიემ უკვე გაანაღდა მეცხრე ხუთწლედის პირადი გეგმა. ამ საქმეში პირველია საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ქ. კვალიშვილი. მას მეცხრე ხუთწლედის მეხუთე წელს უნდა მოეკრიფა 20,6 ტონა ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად უკვე მოკრიფა 26,1 ტონა.

ახლა მოწინავე მეჩაიე ქ. კვალიშვილი მეათე ხუთწლედის ანგარიშში ყოველდღე ათეულ კილოგრამობით პირველი ხარისხის ფოთოლს კრეფს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის მესამე ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, მომკვლევს, გამომძიებელს, პროკურორს და სასამართლოს უფლება აქვთ იძულებით მოიყვანონ იგი და, ამავე დროს, ამის მიმართ, ვინც თავი აარიდა გამოცხადებას, მიიღონ იგივე ზომები, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლის მეორე ნაწილით ან თუ გამოძახებული მოწმე არ გამოცხადდა სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ ცნობს, მას საქმის განმხილველი სასამართლოს განჩინებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 30 მანეთამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი,
1974 წლის 30 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნათესების, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 179. ნათესებისა და ნარგავების განზრახ დაზიანება.

ნათესების, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანება, რამაც კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას ან სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მეურნეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი,
1974 წლის 30 აგვისტო.

□

„საქართველოს კომუნისტი" № 8

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალი იხსნება რუბრიკით „მთელი ჩვენი ძალები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა სრულად განხორციელებას". ამ საკითხს ეძღვნება სტატიები და წერილები. მოწინავე — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიდი პერსპექტივა; ვ. ქარუმიძე — პარტიულ მუშაობაში მეცნიერული საფუძვლების დანერგვა წარმატების საწინდარია; შ. რუხიტაშვილი, გ. აბდალაძე — მთის დღევანდელი [illegible] და ხვალინდელი ნათელი მომავალი.

გამოქვეყნებულია გ. გოლეთიანის სტატია — სსრ კავშირის ხალხთა საერთო-მშობლიური ენა; ნ. ჯაშის წერილი — გაზეთის [illegible] პროგრამა.

განყოფილებაში „თეორიის პრობლემური საკითხები" დაბეჭდილია სტატიები და წერილები ა. ჩავლეიშვილის — სოციალისტური შეჯიბრების როლი ახალი ადამიანის ფორმირებაში, ა. ბაქრაძის — პიროვნების დამოკიდებულება საკუთრებისადმი სოციალისტურ საზოგადოებაში.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკა"; „პრობლემები, ძიება, პერსპექტივა", „რედაქცია უპასუხებს მკითხველებს"; „საქართველოს კომუნისტის" გამოსვლის შემდეგ" და სხვ.

დიპლომი საუკეთესო ნაშრომს

წელს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობამ საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა სრულიად საკავშირო კონკურსზე გაგზავნა შარშან გამოცემული რამდენიმე ბროშურა.

წარდგენილ ბროშურათა შორის საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის 1974 წლის 25 ივნისის დადგენილებით სპეციალური დიპლომი ხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემულ ვახტანგ ქარუმიძის წიგნს — „სკკპ XXIV ყრილობა კომუნიზმის მშენებლობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლების შესახებ".

მ. კუსრაშვილი,
საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის რეფერენტი.

ერთგულება კომუნისტური იდეალებისადმი

საბჭოთა მწერლების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში — იქ, სადაც ოთხი ათეული წლის წინათ მიმდინარეობდა საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის სხდომები, 4 სექტემბერს მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი.

პროზაიკოსები, პოეტები, დრამატურგები, პუბლიცისტები, კრიტიკოსები სიამაყით აჯამებდნენ 40-წლიანი გზის შედეგებს, ამბობდნენ, რომ საჭიროა ყველაფერი იღონონ საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

წიგნის ფურცლებზე თანამედროვის, შემოქმედი ადამიანის სახის აღბეჭდვა საპატიო და პასუხსაგები ამოცანაა. მისი გადაწყვეტა შეუძლიათ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებულ მწერლებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყაირათიანი მეურნის თვალით სწავლობენ ცხოვრების მრავალფეროვნებას, ცდილობენ ასახონ იგი პარტიული პოზიციებიდან, მკაფიოდ და მასშტაბურად.

ერთგულება კომუნისტური იდეალებისადმი, ღრმა პარტიულობა და ხალხურობა, მხატვრული ოსტატობის მაღალი დონე — აი საბჭოთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

საბჭოთა ლიტერატურა, რომელსაც აქვს ადამიანის გონებასა და გულზე უდიდესი ზემოქმედების უნარი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესზე. იგი აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის იდეალების დამკვიდრებაში. ამიტომ შემთხვევით როდი განიცდის ბურჟუაზიული იდეოლოგიის აპოლოგეტთა განუწყვეტელ თავდასხმებს. კაპიტალიზმის სამყარო, როგორც ალექსანდრე ჩაკოვსკიმ (მოსკოვი) აღნიშნა, უკვე იმყოფება თავდამცველის მდგომარეობაში, და დასავლეთში სულ უფრო ხშირად გაიგონებთ აღიარებას ადამიანთა უფართოეს მასებზე სოციალისტური კულტურის სულიერი ზეგავლენის მზარდი ძალის შესახებ. მაგრამ დრომოჭმული სამყაროს წინააღმდეგობა სულ უფრო გაქნილ, მრავალფეროვან ფორმებს იღებს, და ჩვენი მწერლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაუცხრომლად ამხილონ კაპიტალიზმის იდეოლოგთა ხრიკები, უფრო მკაფიოდ უჩვენონ საბჭოთა ცხოვრების წესის, ჩვენი კომუნისტური მორალის, ემსახურონ ადამიანის სულიერ ამაღლებას.

განავითარეს რა ეს აზრი, ანუარ ბეკ ალიმჟანოვმა (ყაზახეთი), რაჰიმ ესენოვმა (თურქმენეთი), ტენდიკ ასკაროვმა (ყირგიზეთი), მუსტაი ქარიმმა (ბაშკირეთი) და სხვებმა ხაზი გაუსვეს, რომ სწორედ სოციალისტური რეალიზმის მეთოდმა გახადა შესაძლებელი არა მარტო გვემხილებინა ძველი, დრომოჭმული, არამედ შეტევითი ბრძოლა გვეწარმოებინა მის წინააღმდეგ, ხელი შეგვეწყო ახლის, პროგრესულის დამკვიდრებისათვის. პირველმა სრულიად საკავშირო ყრილობამ გააერთიანა საბჭოთა ლიტერატორები, რომლებიც დგანან სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე, — ხანდაზმულები და ახალგაზრდები, სხვადასხვა ლიტერატურების წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ ათასწლოვანი ისტორიაც და რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაისახნენ.

ეყრდნობოდნენ რა საბჭოთა ხალხების მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მთელი მსოფლიოს კულტურის მოწინავე ტრადიციებს, ისინი წვდებოდნენ სოციალისტური რეალიზმის დიად მეცნიერებას. მან კეთილნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა პოეტთა და პროზაიკოსთა შემოქმედების ჩამოყალიბებასა და აყვავებაზე, მთელ ჩვენს ლიტერატურაზე.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა დიდი ოქტომბრის მონაპოვრების მგზნებარე მქადაგებელი და პროპაგანდისტია. არსებობის პირველი დღეებიდანვე მან მტკიცედ დაუკავშირა თავისი ბედი ხალხის ბედს, ლენინის პარტიას. რუსული ლიტერატურის გამოცდილებაზე დაყრდნობით მოკავშირე რესპუბლიკების მწერლებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მაღალიდეური, მხატვრულად მკაფიო ნაწარმოებების შექმნაში. დღეს მათი წიგნები ფართოდაა ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ეს არის, აღნიშნეს ორატორებმა, დიდი დამსახურება რუსი მთარგმნელების, პროზაიკოსების და პოეტებისა, რომელთა შრომა გორკისეული ტრადიციების ცხოველმყოფელობის, მთელი საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალური გმირობის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

საბჭოთა მწერლები თავისი შემოქმედებითი კავშირის მეხუთე ათწლეულს იწყებენ ყველა მოძმე ლიტერატურის გამოცდილებით გამდიდრებულნი. ისინი პროპაგანდას უწევენ და ამკვიდრებენ ჩვენი ცხოვრების სილამაზეს, უდიდეს მიღწევებს ეკონომიური და კულტურული განვითარების დარგში. მათ არ ავიწყდებათ ის მთავარი, რამაც უნდა შეუწყოს ხელი კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი წარმატებების შემდგომ გამრავლებას.

— თვითეული ჩვენგანი, — თქვა მირზო ტურსუნ-ზადემ (ტაჯიკეთი), — თავს პარტიულ მწერლად თვლის. ეს დიდი პატივია. იგი ბევრს გვავალებს. საბჭოთა ლიტერატორი საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნისათვის აქტიური მებრძოლია და იგი ცხოვრების შუაგულში უნდა ტრიალებდეს. ჩვენი წიგნების გმირებს. მხარდამხარ გავდივართ გორკისეულ „უნივერსიტეტებს".

გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ მემკვიდრეობით მიიღო და ნაყოფიერად ავითარებს გორკისეულ ტრადიციებს.

— ბაიკალ-ამურის მაგისტრალი არის ჩვენი დღეების ჭეშმარიტად დიადი მშენებლობა, დიადია მისი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და ზნეობრივი მნიშვნელობა, — თქვა კონსტანტინე სიმონოვმა (მოსკოვი). — და ჩვენი ვალია ხოტბა შევასხათ ახალგაზრდა პირველმკვლევების საქმეთა სიდიადეს. ჩვენ ყველაზე აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მატიანის შექმნაში.

ბევრმა ორატორმა კერძოდ, ვიტალი ოზეროვმა (მოსკოვი), ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრაქტიკული მონაწილეობა კომუნისტურ მშენებლობაში და უშუალოდ შემოქმედებითი ხასიათის პრობლემები ერთმანეთისაგან განუყოფელია. ამიტომ დღევანდელი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია მწერალთა სტუმრობა მენავთობეებთან და ტყის მჭრელებთან, მეშახტეებთან და მშენებლებთან, მათი ცხოვრების უფრო გაღრმავებული შესწავლა, ხშირი შემოქმედებითი ანგარიშები მუშების, სოფლის მშრომელების წინაშე.

საწარმოო კოლექტივებთან შემოქმედებითი მუშაკების თანამეგობრობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცების შესახებ პარტიის მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ბევრი რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ლიტერატორები. უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს ნევის მანქანათმშენებელ ქარხანასთან ლენინის ქალაქის მწერალთა შემოქმედებითი თანამეგობრობის ხელშეკრულება, განაცხადა გიორგი ხოლოპოვმა (ლენინგრადი). ოლქის ერთ-ერთი რაიონის მინდვრის მშრომელებთან მუდმივი კავშირი აქვთ მწერლებს. თავის მხრივ კომბინატმა „აპატიტმა" და ტრესტმა „აპატიტმშენმა" დააწესეს ოთხი ყოველწლიური პრემია ლენინგრადელი მწერლებისათვის, გზავნიან მათ შემოქმედებით მივლინებებში.

საბჭოთა მწერალი, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, ახალი ცხოვრების აქტიური შემოქმედია. უაღრესად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, მისდამი ადამიანთა ნდობა. მისი პიროვნება განუყოფელია შემოქმედებისაგან; ამასთან დაკავშირებულია მისი საზოგადოებრივი აქტივობა, მკაფიო მოქალაქეობრივი პოზიციები. ორმოცი წლის მანძილზე შემოქმედებითი კავშირის ბევრმა წევრმა არა მარტო შექმნა ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდნენ, არამედ მთელი თავიანთი ცხოვრებითა და საქმიანობით ხელს უწყობდნენ ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრებას.

პროზაიკოსების, პოეტების, დრამატურგების, პუბლიცისტების შემოქმედების მოქალაქეობრიობა მკაფიოდ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. პატრიოტიზმის, სამშობლოს ერთგულების თემა, თქვეს გამომსვლელებმა, კერძოდ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა გ. ვ. სრედინმა, დღესაც მწერლების შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან აღნიშნონ ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 30 წლისთავი, საბჭოთა ხალხის გმირობის თემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, თქვეს კონსტანტინე სიმონოვმა, სერგეი სმირნოვმა (მოსკოვი) და სხვებმა. წიგნებს ხალხის გმირობის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

ორატორები გონების თვალს ავლებდნენ იმ დღეებს, როცა ყალიბდებოდა მხატვრული სიტყვის ოსტატთა შემოქმედებითი კავშირი, აჯამებდნენ მის ნაყოფიერ ორმოცწლიან გზას და დაინტერესებით ლაპარაკობდნენ ჩვენი ლიტერატურის ხვალინდელ დღეზე. გორკის მამობრივი დარიგება — მუდამ გვახსოვდეს ახალგაზრდები, ცოცხლობს საბჭოთა მწერლების გულში. ამზადებს რა ახალგაზრდა ცვლას, მწერალთა კავშირი აწყობს დამწყები პროზაიკოსებისა და პოეტების სრულიად საკავშირო თათბირებს, სპეციალურ სემინარებს, მათ ნაწარმოებთა განხილვას. მუდმივი ზრუნვისა და შემოქმედებითი დახმარებისათვის უფროსი ამხანაგებისადმი მადლიერების გრძნობა გამოხატა პლენუმზე გამოსულმა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სტუდენტმა გალინა სტეპანოვამ.

ჩვენი საზოგადოების ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ხვალინდელი დღისადმი სწრაფვა ახლობელია საბჭოთა ლიტერატურისათვის. ამიტომ მწერლებს თავიანთ განსაკუთრებით პასუხსაგებ ამოცანად მიაჩნიათ შექმნან ნაწარმოებები ნორჩი მოქალაქეებისათვის. თავის დროზე გორკი მწერლებს შეახსენებდა, ბავშვებისათვის ისევე უნდა წეროთ, როგორც მოზრდილებისათვის, ოღონდ უკეთ.

კარგი წიგნი, თქვა ვლადისლავ კრაპივინმა (სვერდლოვსკი), ვისთვისაც ცხოვრების სახელმძღვანელოა. ასეთი წიგნები განსაკუთრებით საჭიროა ყველაზე ნორჩ ასაკში, იმიტომ, რომ ბავშვობა საძირკველია, რომელზეც შენდება ადამიანის მთელი შემდგომი ცხოვრება. და ჩვენ მოვალენი ვართ მუდამ გვახსოვდეს საკუთარი პასუხისმგებლობა იმათთვის, ვინც ცხოვრების დიდ გზას ადგება.

თანამედროვე საზოგადოებაში ლიტერატურის აქტიურ, გარდამქმნელ როლზე, ხალხის ცხოვრებასთან მის მჭიდრო კავშირზე, ჩვენი ეპოქის ღირსეული ნაწარმოებების შექმნისადმი სწრაფვაზე ილაპარაკეს სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ლევ კულიჯანოვმა, რობერტ როჟდესტვენსკიმ (მოსკოვი), იან კროსმა (ესტონეთი), გარიფ ახუნოვმა (ყაზანი), რაჩია ოვანესიანმა (სომხეთი) და სხვებმა.

დიდი ოქტომბრის მიერ შობილი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ვითარდება, ძალებს პოულობს ხალხის ცხოვრებაში, პარტიულობის კეთილნაყოფიერ იდეაში, განაცხადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ბ. სუჩკოვმა. საკმარისია გადავავლოთ თვალი ახლახან გამოშვებულ ექვსტომეულს „საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის ისტორია", რომ დავინახოთ ჩვენი მწერლების მნიშვნელოვანი წვლილი მსოფლიო მხატვრულ გამოცდილებაში. ამ ნაშრომის გამოჩენის თვით ფაქტი მოწმობს, რომ განუყრელია საბჭოთა ხალხების ლიტერატურებისა და კულტურების კავშირი, რომელიც შესაძლებელი გახდა თანმიმდევრული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით. ეს გამოცემა მკაცრი პასუხია ბურჟუაზიული ნაციონალისტებისადმი, რომლებიც ათასგვარ „საბჭოთალოგიურ ცენტრებში" მოკალათებულან და ამაოდ ცდილობენ ჩვენს ქვეყანაში შემოაპარონ ეროვნული შუღლის დიდი ხანია დამპალი და აშმორებული იდეები.

ორატორმა აღნიშნა, რომ კრიტიკამ კიდევ უფრო სრულად უნდა გვიჩვენოს სოციალისტური რეალიზმის წვლილი მსოფლიო ხელოვნებაში, გამოაჩინოს მისი მნიშვნელობა ჩვენი დღეების დემოკრატიული ლიტერატურის ძიებისათვის.

წლითიწლობით იზრდება სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთა მწერლებს — მშვიდობისათვის ნაცად მებრძოლებს — მეგობრები ჰყავთ ყველა [illegible] შესახებ, რომლებიც მათ [illegible] ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, ხალხთა [illegible] განმტკიცებაში.

მთელ დედამიწაზე [illegible] ჩილეს სამხედრო ხუნტის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ პროტესტების ტალღა. მრისხანედ გაისმის აგრეთვე საბჭოთა მწერლების ხმა. ისინი ჩილეს უძღვნიან მგზნებარე ნაწარმოებებს. ამაზე ილაპარაკა, კერძოდ, პლენუმზე არვიდ გრიგულისმა (ლატვია). შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ პლენუმის სტუმარს, ცნობილ ჩილელ მწერალს, ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრს ვ. ტეიტელბოიმს.

პლენუმის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ ცნობილ ეგვიპტელ მწერალს, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, აზია-აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის გენერალურ მდივანს იუსეფ ეს სიბაის, მონღოლ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ლოდონგიინ ტუდევს, ლიტერატურის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს ჟ. გონდონს.

პლენუმის სახელზე მოვიდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირების, თვალსაჩინო საზღვარგარეთელი მწერლების, ბევრი სახელმწიფოს კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეების მრავალრიცხოვანი მისალმებანი.

საბჭოთა მწერლების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ქვეყნის მთელი მწერალთა ორგანიზაციის სახელით მათ აღუთქვეს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ დაუცხრომლად გაამრავლებენ საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებს პარტიის გეგმებისა და წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის.

(საქინფორმი).



მონორელსი პლანტაციაში

ციხისძირის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში (ქობულეთის რაიონი) პლანტაციების დიდი ნაწილი მთის ფერდობებზეა გაშენებული და მინერალური სასუქი, ტორფი, მოკრეფილი ნაყოფი და სხვა ტვირთი ადგილზე ხელით გადააქვთ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სამთო მექანიზაციის დანერგვას. ამჟამად მეურნეობის პირველი აგროგანყოფილების მეორე ბრიგადაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი პლანტაციაში ცდის მონორელსურ გზას, რომელზეც თვითმავალი ურიკა მოძრაობს.

მონორელსურ გზას შეუძლია აზიდოს 200 კილოგრამამდე ტვირთი 45 გრადუსი დახრილობის ფერდობზე. მისი სიჩქარე საათში 4,5 კილომეტრს შეადგენს. გამოცდის პირველმა შედეგებმა ცხადყო ამ სიახლის დიდი ეფექტიანობა, და ახლა მეურნეობაში მონორელსური გზით გადააქვთ ტვირთი ფერდობებზე გაშენებულ პლანტაციებში.

ამ სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უნიკალური ობიექტი

საიმედოდ შევინახოთ ხილ-ბოსტნეული

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" — რესპუბლიკის მშრომელების წინაშე აყენებს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს. ეს დოკუმენტი საფუძვლიანად განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმმა. აღებულია კურსი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისაკენ. ამის კვალობაზე ახლო მომავალში მკვეთრად გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მალფუჭადი პროდუქტების ხანგრძლივად შენახვის პრობლემების, საცავების აგებისა და სწორად განლაგების საკითხების გადაწყვეტას.

უკვე მიმდინარე ხუთწლედში ექსპლოატაციაში შევა 123 ათასი ტონის ტევადობის სამაცივრო, რომლის 80 პროცენტი განკუთვნილია ხილისა და ბოსტნეულისათვის. წელს სექტემბერში ექსპლოატაციაში შევა თბილისის ხილბოსტნეულის კომბინატის მეორე კორპუსი, რომლითაც დამთავრდება მშენებლობის პირველი რიგი და მისი ერთდროული ტევადობა 43 ათას ტონას მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ ეს ობიექტი გეგმაზე ერთი წლით ადრე შედის ექსპლოატაციაში.

სექტემბერში აქ ხანგრძლივად შენახვისათვის ერთდროულად ჩაეწყობა 22 ათასი ტონა კარტოფილი, 6.500 ტონა კომბოსტო, 3.500 ტონა ხახვი, 1.500 ტონა სტაფილო, 1.500 ტონა ჭარხალი, 6.500 ტონა სხვადასხვა ხილი. საკმარისია ითქვას, რომ კომბინატის ტევადობა სჭარბობს რესპუბლიკის გამანაწილებელი მაცივრების მთელ ტევადობას.

კომბინატი ერთ-ერთი უნიკალური ობიექტი იქნება ჩვენს ქვეყანაში როგორც ტევადობით, ისე ტექნიკური აღჭურვილობით. შენახვის სისტემა კონტეინერულია. ყველა კამერაში მიწოდებული იქნება გაცივებული ჰაერი. როდესაც კომბინატის მშენებლობა მთლიანად დამთავრდება და მივაღწევთ შრომატევადი სამუშაოების სრულ მექანიზაციას (რაც განხორციელების ფაზაშია), ხელთ გვექნება დიდი უნიკალური ობიექტი. ამიტომ ამ ობიექტის მშენებლობის ყველა ეტაპზე უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის სისტემატურ სრულყოფას.

ამ მხრივ მეტად სერიოზული პრეტენზიები გვაქვს მშენებლებთან. კომბინატის მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტი (მმართველი ამხ. კ. გოგიჩაიშვილი).

გასულ წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყო სპეციალური კომისია შესრულებული სამუშაოს ხარისხის დასადგენად. კომისიამ აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები და დაავალა სამშენებლო ტრესტს მათი აღმოფხვრა. ვაჭრობის სამინისტრომ თავის მხრივ დაუმუშავა სამუშაოს შესრულების გრაფიკი. აღნიშნული სამუშაოები დღემდე არ არის შესრულებული. უხარისხოდ და პროექტის დარღვევით გაკეთდა ორივე კორპუსის სახურავი, მეტ წილ კამერებში ინტენსიურად ჩამოდის წყალი. უკვე დასველდა სახურავის საიზოლაციო ფენა, რომელიც ასეთ შემთხვევაში კარგავს მაიზოლირებელ თვისებებს. ასევე უხარისხოდ არის გაკეთებული კედლების იზოლაცია, კედლების პანელების შეერთებაში ჰაერი გამოდის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ შიგა კედლებს იზოლაციის უწყვეტი ხასიათი არა აქვს, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ძირითადად საიზოლაციო სამუშაოებს ასრულებს სამშენებლო ტრესტი, ხოლო სპეციალიზებულ სამშენებლო ორგანიზაციას (თერმოიზოლაცია), რომელსაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჰყავს, რატომღაც დათმობილი აქვს ძალიან მცირე სამუშაო მოცულობა.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ დეფექტებს ადგილი არ ექნებოდა, კომბინატის მშენებლობის დირექციას (დირექტორი ამხ. გ. კასაშაშვილი) თავის დროზე მკაცრი კონტროლი რომ დაეწესებინა მშენებლობის ხარისხზე. როგორც ეტყობა, აქ დღემდე ვერ უგრძვნიათ მაღალი პარტიული პასუხისმგებლობა. კეთდება დიდი სახელმწიფო საქმე და გულგრილობა არავის არ უნდა ეპატიოს.

ამ კომბინატის მშენებლობის დამთავრებით გადაწყდება დედაქალაქის და ქ. რუსთავის, აგრეთვე ახლო მდებარე ქალაქების ხილბოსტნეულისათვის სამაცივრო ტევადობის უზრუნველყოფის საკითხი.

მომდევნო ეტაპზე უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს სამაცივრო ტევადობის განლაგებას უშუალოდ პროდუქციის წარმოების რაიონებში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კაპიტალურ დაბანდებას და საექსპლოატაციო დანახარჯებს. აუცილებელია ამ სახის საცავები ტერიტორიულად ახლოს იყოს პროდუქციის წარმოების რაიონებთან, ხოლო საუკეთესო კავშირი პროდუქციის წარმოებასა და შენახვის მეურნეობას შორის მაშინ იქნება, თუ მას ექნება აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ან გაერთიანების სახე.

ასეთ შემთხვევაში სამაცივრო მეურნეობას ენიჭება მაორგანიზებელი როლი. მეურნეობას მოჰყავს ისეთი ჯიშები, რომლებიც ხანგრძლივი შენახვისათვის ვარგისია, ხოლო მეორე მხრივ ანგარიშს უწევს მაცივრის დატვირთვის გრაფიკს, რითაც აბსოლუტურ სრულყოფას აღწევს პროდუქციის შენახვის ტექნოლოგია.

დღეისათვის სამაცივრო მეურნეობის მაორგანიზებელი როლი სანედლეულო ბაზის განლაგება-განვითარებაში თითქმის უგულებელყოფილია. ეს უარყოფითად მოქმედებს მეურნეობის ამ დარგის შემდგომ სწორ განვითარებაზე.

მეტად დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხილბოსტნეულის პროდუქტებით ვაჭრობის სწორ ორგანიზაციას, ამ დარგის სტრუქტურულ სრულყოფას და სპეციალიზაციას. ამ მხრივ ჩვენს მუშაობაში ბევრი ხარვეზია, რომელიც დროულად უნდა გამოსწორდეს. ეს საკითხები სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების შესწავლის საგანი უნდა გახდეს. განვითარების თანამედროვე ეტაპზე მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული, სტრუქტურულად სრულყოფილი მეურნეობა უზრუნველყოფს წარმატებას.

ხილბოსტნეულის პროდუქტები ძალზე მალფუჭადია. ამიტომ მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას მათი სპეციფიკა და მხოლოდ ამ პოზიციიდან გადაიჭრას საკითხი. საჭიროა აიგოს ასეთი პროდუქტებით სავაჭრო ცენტრები, რომლის ქვეშა სართული მთლიანად დაეთმობა წარმოებას. ბაზიდან გაგზავნილი დაფასოებული პროდუქტი ერთ დღეში კარგავს სასაქონლო სახეს. ამიტომ ასეთი სახის პროდუქტის დაფასოება მცირე ტარაში ადგილზევე უნდა ხდებოდეს.

მაღაზიას თავისთავად უნდა ჰქონდეს თავისი სამაცივრო მეურნეობა პროდუქციის ორი-სამი დღის მარაგის შესანახად. ეს კი იმის საწინდარი იქნება, რომ სავაჭრო ქსელის მომარაგებაში შეფერხება მთლიანად აღმოიფხვრას. მკვეთრად ამაღლდება ვაჭრობის კულტურა, მომხმარებელს მიაწვდიან ლამაზად შეფუთულ მაღალხარისხოვან პროდუქციას.

დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში ხილბოსტნეულის დამზადებასა და რეალიზაციას განაგებს რამდენიმე ორგანიზაცია: ვაჭრობის სამინისტროს კარტოფილითა და ბოსტნეულით ვაჭრობის სამმართველო, ქ. თბილისის ვაჭრობის სამმართველო, ცეკავშირი, საქვაჭრობა, ავტონომიურ რესპუბლიკებში და დიდ ქალაქებში — პროდუქტვაჭრობა, ხილბოსტანვაჭრობა, რომლებიც ადგილობრივ დაქვემდებარებაშია და სხვ. ყველა ეს ორგანიზაცია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აწარმოებს პროდუქციის შესყიდვას როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

იმ შეუთანხმებლობის აღმოსაფხვრელად, რომელიც ამჟამად არსებობს სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებს შორის, საჭიროა შეიქმნას საკოორდინაციო ორგანო, რომელიც შეისწავლის ზუსტ მოთხოვნას ხილბოსტნეულის სხვადასხვა პროდუქტებზე და მისი დამზადების რეგულირებას მოახდენს, ხოლო მეორე მხრივ „თბილხილბოსტანვაჭრობა" უნდა დაექვემდებაროს ვაჭრობის სამინისტროს სპეციალიზებულ სამმართველოს და მის ხელში უნდა დარჩეს წმინდა ვაჭრობა. ესე იგი მაღაზიები, ხილბოსტნეულსაცავები თავისთავად მატერიალური ბაზა იქნება ვაჭრობისათვის, რაც სპეციალიზაციის სრულყოფის თვალსაზრისით სწორი გადაწყვეტაა.

იწურება მოსავალი სეზონისათვის მოსამზადებელი პერიოდი. კომბინატში დღეისათვის წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს მომავალი სეზონისათვის მზადება. მაგრამ ჩვენ გვაქვს გადაუჭრელი პრობლემებიც.

ცნობილია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ძირითადად კარტოფილის ნათესები მთა რაიონებშია (წალკა, ახალქალაქი და სხვ). ამ რაიონების კლიმატური პირობები მკაცრია და მოსავლის აღების ვადებიც მეტად შემჭიდროებულია. მოსავლის აღებისას მისი ადგილზე გადარჩევა თითქმის შეუძლებელია, ხოლო გადაურჩეველი პროდუქტის შენახვა ტექნოლოგიურად არ არის გამართლებული, იწვევს სასარგებლო სამაცივრო ტევადობის მოცდენას. ამიტომ ჩვენ უკვე ვმუშაობთ პროექტზე, რომლის განხორციელება გათვალისწინებულია მომავალი წლისათვის და იგი საშუალებას მოგვცემს ხანგრძლივ შესანახად ჩავაწყოთ მხოლოდ გადარჩეული პროდუქცია.

კომბინატის კოლექტივი ახალგაზრდულია, მის ყველა წევრს კარგად ესმის საწარმოს წინაშე დასახული ამოცანების სირთულე და სერიოზულობა. ისინი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ამ ამოცანების გადაჭრისათვის.

გ. გოგაძე,
ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატის მმართველი.

მეგობრობის საღამო

ტყიბული. (საქ. კორ.), მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას მიეძღვნა მეგობრობის საღამო, რომელიც ამ დღეებში მოეწყო სტალინის სახელობის შახტის ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატის სასხდომო დარბაზში.

მოხსენებები წაიკითხეს შახტის უფროსმა დ. ცირეკიძემ, სამთო ინჟინრებმა ლ. ვარძუკაშვილმა და ნ. კაპანაძემ, სიტყვები წარმოთქვეს უბნის ნორმირებამ ე. არტემოვამ, სამთო მუშებმა ლ. ჩმორმა და გ. სამანიშვილმა.

კლუბი — „ვინ გვარცხვენს, ვინ გვასახელებს"

წალენჯიხა. („კომუნისტის" კორ.). ამ დღეებში მუშაობა დაიწყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის კლუბმა — „ვინ გვარცხვენს, ვინ გვასახელებს".

საინტერესოდ წარიმართა კლუბის პირველი მეცადინეობა. ფართო აუდიტორიის წინაშე გამოვიდნენ წალენჯიხის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ლუკავა, რაიონის პროკურორი ი. გეთია, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ვ. შელია, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ნ. წურწუმია და სხვ.

ახალი სასკოლო შენობა — 7 თვეში

თელავი. (საქ. კორ. ა. თვალიაშვილი). მრავალი წლის მანძილზე ქალაქის მეორე საშუალო სკოლა ძველსა და შეუფერებელ შენობაში იყო მოთავსებული, რის გამოც მუშაობა ძნელ პირობებში მიმდინარეობდა. ეს გაითვალისწინა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და თანხები გამოჰყო ახალი სასკოლო შენობის ასაგებად.

440 მოსწავლისათვის გათვალისწინებული საშუალო სკოლის შენობის აგება დაევალა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს თელავის № 4 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ი. ბეჟაშვილი), რომელიც მშენებლობას წელს თებერვალში შეუდგა. მუშაობა დაჩქარებული ტემპით წარიმართა და მოკლე დროში — 7 თვეში დამთავრდა მშენებლობა-მოწყობა. ამასთან, მშენებელთა ნახელავმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

თელაველ მშენებელთა უნარიანი ნამუშევრის შედეგად მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ახალი სასწავლო წლის დაწყება ახალ შენობაში იზეიმეს.

ნაკლები დანახარჯებით...

● სახელმწიფოს მიეყიდა 2.200 ტონა ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.900 ტონისა. ● კიდევ მიეყიდება 1.000 ტონა

ბოსტნეულის საყიდლად აბაშელებს ხშირად ნახავდით ქუთაისში, ფოთში და მეზობელ სხვა რაიონებში. აბა რა უნდა ექნათ! წლების განმავლობაში ვერა და ვერ აღწევდნენ ადგილზე ბოსტნეულის სიუხვეს. საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებიც ამ დარგის აღმავლობისათვის თავს არ იწუხებდნენ.

აბაშლები გულისტკივილით ამბობდნენ, რატომ უნდა ვიაროთ ბოსტნეულის საყიდლად სხვადასხვა რაიონებში, როცა ნიადაგი და პირობები გაცილებით უკეთესი გვაქვსო. სწორედ მშრომელთა ამ გულისტკივილის საკითხზე იყო მსჯელობა მიმდინარე წლის დასაწყისში პარტიის რაიონულ კომიტეტში მოწვეულ აქტივის თათბირზე, სადაც დაისახა ღონისძიებანი ბოსტნეულის სიუხვისათვის. რაიონის ხელმძღვანელობამ სპეციალისტებთან, გამოცდილ კოლმეურნეებთან ერთად ადგილებზე წინასწარ შეარჩია ნიადაგები, შემდეგ მოსავლელად გამოცდილ კოლმეურნეებს, მუშებს მიუჩინა...

დაიწყო ჩანაფიქრის ხორცშესხმა. ბოსტნეულის დასათესად ნიადაგი ხარისხიანად მოხნეს. 381,5 ჰექტარის ნაცვლად 507 ჰექტარზე სხვადასხვა სახის ბოსტნეული დათესეს, შემდეგ მცენარეს მზრუნველი ხელი არ მოაკლეს.

შედეგი? ჩინებულია! რაიონის მებოსტნეთა პირობა იყო წელს გეგმით მოეყვანათ და სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 1.900 ტონა ბოსტნეული, ხოლო ვალდებულებით 3.000 ტონა. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 2.200 ტონაზე მეტი სხვადასხვა სახის ბოსტნეული.

მიმდინარე წლის ნახევარში აბაშის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მებოსტნეობიდან ფულად შემოსავალს იმდენი შეემატა, რაც მათ 10 წლის განმავლობაში არ ჰქონიათ.

ახლა აბაშის მშრომელთა მიერ მოყვანილი პამიდორის, კიტრის, ხახვის, კომბოსტოს და სხვადასხვა ბოსტნეულის ნახვა მეზობელ რაიონებში. მარტო ერთ დღეს თბილისში აბაშელ მებოსტნეთა გარჯით მოყვანილი 120 ტონაზე მეტი ხახვი, კომბოსტო, კიტრი და სხვა ბოსტნეული გაიყიდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულთა შორის არის ნორიოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. კაჭარავა, პარტორგანიზაციის მდივანი შ. სიმონია). აქაურ მხნელ-მთესველთა პირობა იყო წელს მოეყვანათ 870 ცენტნერი ბოსტნეული. მათ პირობას უკვე გადააჭარბეს — მიიღეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.250 ცენტნერი ხახვი, პამიდორი და სხვა ბოსტნეული. კოლმეურნეობამ წელს განვლილ შვიდ თვეში მარტო ბოსტნეულის რეალიზაციით მიიღო 32.136 მანეთი. ცხადია, წლის ბოლომდე ეს თანხა საგრძნობლად გადიდდება.

სუჯუნაში ადრე ვინმე რომ მოსულიყო პამიდორის, კიტრის, ხახვის ან სხვა ბოსტნეულის შესაძენად, მასხრად აიგდებდნენ. აქაურები ბოსტნეულის შესაძენად თვითონ დადიოდნენ ქუთაისში.

წელს აქ საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი თ. თელია, პარტკომის მდივანი ლ. კუჯავა) ხახვი, პამიდორი, კიტრი და სხვა ბოსტნეული იმდენი მოიყვანა, რომ თბილისში, ფოთში და ახლო მდებარე მეზობელ რაიონებშიც გააქვთ გასაყიდად. მეურნეობამ წლის ბოლომდე გეგმით უნდა მიეღო 100 ტონა ბოსტნეული, ვალდებულებით — 120 ტონა. ფაქტიურად უკვე მიიღეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 198 ტონაზე მეტი ხარისხიანი ბოსტნეული.

რაიონში სხვა საზოგადოებრივ მეურნეობასთან შედარებით სოფელ პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე რ. რატიანი, პარტბიუროს მდივანი ა. შათირიშვილი) ყოველ წელს ითესებოდა 26 ჰექტარი ბოსტნეული, მაგრამ ეს დარგი პატივისცემით არ სარგებლობდა.

წელს ფართობი არ გადიდებულა. ნიადაგი იგივეა, ხალხიც იგივე და აი შედეგი: პირველმაისელებმა უკვე მიიღეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 1700 ცენტნერი ბოსტნეული. მარტო ამ დარგიდან ფულადმა შემოსავალმა 43 ათას მანეთს გადააჭარბა. წლის ბოლომდე ეს თანხა 54 ათას მანეთამდე გაიზრდება.

რამ გამოიწვია ასეთი სწრაფი გარდატეხა? მონდომებამ, ნიადაგის მაღალხარისხოვანმა დამუშავებამ, ნათესების გულმოდგინე მოვლამ და იქ მომუშავეთა დაინტერესებამ.

სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. თოფურია, პარტორგანიზაციის მდივანი შ. ჯამაშურია) ყოველ წელს ბოსტნეულს 23 ჰექტარზე თესავდნენ, მაგრამ თესლი რა არის, იმასაც ვერ იღებდნენ. წელს კოლმეურნეობისაგან სახელმწიფომ უკვე იყიდა 1.915 ცენტნერზე მეტი ხახვი, პამიდორი, კომბოსტო, კიტრი და სხვა სახის ბოსტნეული. ვალდებულების გადამეტებით 800 ცენტნერზე მეტი ბოსტნეული! ასეთია ტყვირელთა პირობა.

სოფელ ქოლობნის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ი. ესაკია, პარტორგანიზაციის მდივანი ი. ფირცხალავა) გეგმა-ვალდებულებით წელს უნდა მიეღო 900 ცენტნერი ბოსტნეული. ფაქტიურად მიიღო ერთნახევარჯერ მეტი.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობა ზანათის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი [illegible], პარტიული კომიტეტის მდივანი [illegible]).

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, — განაცხადა საუბარში საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მგელაძემ, მებოსტნეობა ზარალიანად მიაჩნდათ მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგი და პირობები საუცხოოა. წელს რეზერვების გამოყენებით, წამახალისებელ ღონისძიებათა გატარებით, სპეციალურად მებოსტნეობის ბრიგადების შექმნით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ერთბაშად გარდატეხას მივაღწიეთ. მარტო მებოსტნეობიდან საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ნახევარ წელიწადში 179 ათას მანეთზე მეტი მიიღეს. ეს თანხა გასულ ხუთი წლის მანძილზე ბოსტნეულის რეალიზაციით შემოსულ თანხას სჭარბობს. წლის ბოლომდე რამდენიმე ათას მანეთს კიდევ მოველით. რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 2.200 ტონაზე მეტი სხვადასხვა ბოსტნეული ნაცვლად 1.900 ტონისა. სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვა გრძელდება.

აი რა შეუძლია მონდომებას, რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი.

მსოფლიო დღეს

ამბები • ფაქტები

საქდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

მდგომარეობა კვიპროსში

ნიქოზია, 4 სექტემბერი. (საქდესი). კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს გენერალურ მდივანთან პარტიის გენერალური მდივნის ე. პაპაიოანუს ტელეფონით საუბრის შემდეგ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია კვიპროსის საკითხზე. ეს კონფერენცია უნდა მოეწყოს რომში სექტემბრის დამლევს.

ე. პაპაიოანუ ტელეფონით ესაუბრა კვიპროსის პრეზიდენტს მაკარიოსს და გაეცნო მას კუნძულზე არსებული მდგომარეობა.

კვიპროსის ფარგლებს გარეთ მყოფმა პრეზიდენტმა მაკარიოსმა მოუწოდა კუნძულის ბერძენ მოსახლეობას მხარი დაუჭირონ რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს გ. კლირიდისს. ჩემი არყოფნის პერიოდში, განაცხადა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა, გ. კლირიდისი რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას და სარგებლობს ჩემი მხარდაჭერით თავის საქმიანობაში.

სულ უფრო მწვავდება ლტოლვილებისა და კუნძულის ეკონომიური მდგომარეობის პრობლემები. ზაფხული გადის, აუღებელი მოსავალი იღუპება მინდვრებსა და ბაღებში. მილიონობით ლიმონი დარჩა ბერძენი მოსახლეობის მიერ მიტოვებული ლაპითოსის რაიონის ციტრუსოვანთა პლანტაციებში. თუ უახლოეს ხანში მოსავალს არ აიღებენ, იგი დაიღუპება. მარცვლეული კულტურების ნახევარზე მეტი ასევე აღებული არ არის. ადგილობრივ ოფიციალურ და საქმიან წრეებში ლაპარაკობენ იმ ძნელი განსაცდელის შესახებ, რომელიც მოელის უახლოეს თვეებში, შეიძლება წლებშიც, კვიპროსის ეკონომიკას, ამ ცოტა ხნის წინათ ხომ კვიპროსი ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული ქვეყანა იყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

ათენი, 4 სექტემბერი. (საქდესი). საბერძნეთის მთავრობამ კვლავ უარყო ინგლისის წინადადება კვიპროსის საკითხზე სამმხრივი მოლაპარაკების განახლების შესახებ. როგორც ათენის გაზეთი „ვიმა“ წერს, ინგლისის ელჩს განუცხადეს, კუნძულზე შექმნილი სიტუაციის გამო კვიპროსის საკითხზე ჟენევის მოლაპარაკების განახლება შეუძლებელია.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბერძნეთის მთავრობა ცდილობს მიაღწიოს კვიპროსის პრობლემის განხილვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში.

საბჭოთა მეომრების ხსოვნისათვის

პეკინი, 4 სექტემბერი. (საქდესი). მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების 29 წლისთავთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლებმა უხანში გვირგვინით შეამკეს იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩინეთში დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავი.

ისევე როგორც წინა წლებში, ჩინეთის ხელისუფლებმა ნება არ დართეს სსრ კავშირის პეკინის საელჩოს თანამშრომლებს გამგზავრებულიყვნენ შენიანში, ხარბინში, ლიუიშუნსა (პორტ-არტური) და დალნში, რათა გვირგვინებით შეემკოთ იაპონელი მილიტარისტებისაგან ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავები.

თათბირი თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 4 სექტემბერი. საქდესის კორესპონდენტი ვ. ხერნიშოვი იუწყება:

პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა თათბირი გამართა თავის წამყვან ეკონომიურ მრჩევლებთან. თათბირზე, განაცხადა თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯ. ტერჰორსტმა, განხილული იყო ფართო წრის საკითხები.

ამერიკის ეკონომიკის განვითარებას უწინარეს ყოვლისა ახასიათებს ინფლაციის სწრაფი გადიდებული ტემპი, სულ უფრო სერიოზული დაქვეითება, მზარდი უმუშევრობა, ციებ-ცხელება ბირჟაზე, ეკონომისტთა შორის სრული დაბნეულობა და უთანხმოება ეკონომიური კრიზისიდან გამოსვლის გზების გამო, რადგან სიძნელეთა მრავალმხრივი ხასიათის გამო ერთი პრობლემის გამოსწორების ღონისძიებებს დღემდე უცილობლად მოსდევს სხვა პრობლემათა გამწვავება.

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური მდგომარეობის ანალიზი სულ უფრო მეტად მოგვაგონებს მძიმე ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კლინიკურ ბიულეტენებს. ამ კვირაში ყველა წამყვანი ამერიკული ყოველკვირეული ჟურნალი დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიურ პრობლემებს. დამახასიათებელია თვით სათაურები ჟურნალების ყდებზე: „მძვინვარე შაკიკი“ („ტაიმი“), „დაავადებული ეკონომიკა“ („ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“).

ეკონომისტები აღიარებენ, წერს „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, რომ შეერთებული შტატები განიცდის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეექვსე დეპრესიას, რომელიც შეიძლება გამოდგეს ყველაზე ხანგრძლივი და სერიოზული. საფონდო ბირჟამ უკვე დაამყარა რეკორდი — საბირჟო ბაზარზე შემცირების ტენდენციები ყველაზე ძლიერია ამ სამი ათწლეულის განმავლობაში. ინფლაცია ფასებს სულ უფრო მაღლა სწევს, და არ არის არავითარი ნიშანი, რომ ეს სპირალი შეჩერდება.

კვლავ ფრანკო

ლისაბონი. 4 სექტემბერი. (საქდესი). მადრიდში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გენერალმა ფრანკომ კვლავ იკისრა ესპანეთის სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობანი.

თვენახევრის წინათ ფრანკომ მძიმე ავადმყოფობის გამო სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები დროებით გადასცა პრინც ხუან კარლოსს, რომელიც მისი ოფიციალური მემკვიდრეა. ესპანეთის ოფიციალური პროპაგანდა მაშინ გადაჭრით აღნიშნავდა, რომ ეს ნაბიჯი თითქოსდა გზას უხსნიდა პოლიტიკური ცხოვრების რეფორმებს ესპანეთში. მაგრამ თვენახევრის განმავლობაში პრინცს ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია, და ფრანკოს გარემოცვას კვლავინდებურად მტკიცედ ეპყრა ხელთ ფაქტიური ძალაუფლება.

როგორც მადრიდიდან იტყობინებიან, ცნობამ, რომ გენერალი ფრანკო კვლავ ასრულებს სახელმწიფო მეთაურის მოვალეობას, დიდად გაუცრუა იმედები ლიბერალურ წრეებს.

ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისათვის

მეგობრობის ისტორიული ძეგლები

ბულგარეთში მრავალი ისტორიული ძეგლია, რომლებიც უკვდავყოფენ ბულგარულ-რუსულ საბრძოლო დიდებასა და მეგობრობას. ყველაზე დიდი და ცნობილი მათ შორის არის ალექსანდრე ნეველის ტაძარი სოფიაში. მის ბაკარჯიკის რაიონში ქალაქ იამბოლის მახლობლად „მჟავს ხეხნია“ — ტაძარი, რომელიც აგებულია 1878-1879 წლებში თურქეთის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლების აღსანიშნავად. ამჟამად მიმდინარეობს ბაკარჯიკის რაიონის არქიტექტურული კეთილმოწყობა და სკულპტურულ-მონუმენტური გაფორმება. რაიონი გამოცხადებულია ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პარკად. აქ შეიქმნება მთელი რიგი მემორიალური ობიექტები.

„ბულგარული რუსისტიკა“

ასე ეწოდება ახალ სამეცნიერო-მეთოდურ ჟურნალს ბულგარულ რუსისტთა საზოგადოების ორგანოს. მისი პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაბეჭდილია ბულგარეთის კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საერთო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის ცოლა დრაგოიჩევას და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის აკადემიკოს მ. ხრაპჩენკოს მილოცვები.

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები და გამოკვლევები, რომლებიც მიძღვნილია რუსული ენისა და ლიტერატურის მეორე საერთაშორისო კონგრესისადმი, ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმეცნიერების და მეთოდიკის განყოფილებები წარმოდგენილია ბულგარელ და საბჭოთა მეცნიერთა სტატიებით.

რუსული ლიტერატურის საერთაშორისო მნიშვნელობას ეძღვნება ბულგარელი პროფესორის ს. რუსაკიევის სტატია. ქ. კოლევსკი აშუქებს თემას — „ლენინი და ზოგიერთი მეთოდოლოგიური პრობლემები რუსული ენისა და ლიტერატურის შესწავლაში“. გამოქვეყნებულია აგრეთვე ვ. კოსტომაროვის სტატია „რუსული ენა თანამედროვე მსოფლიოში“ და სხვა მასალები.

საიუბილეო გამოფენა

ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე მოსკოვში მოეწყობა ბულგარეთის ეროვნული გამოფენა, რომელიც ჩატარდება დევიზით: „ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა — 30 წელი სოციალიზმის გზით“. გამოფენა დაიკავებს 25.000 კვ მ ფართობს. იგი მნახველებს მოუთხრობს ბულგარელი ხალხის მიღწევებზე სოციალისტურ მშენებლობაში ეკონომიკის, კულტურისა და ხელოვნების დარგებში, საშუალებას მისცემს მათ ფართოდ გაეცნონ ბულგარეთის მანქანათმშენებლობის, ელექტრონიკის, ქიმიის, მეტალურგიის, ენერგეტიკის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობასა და პერსპექტივებს.

„სოფია პრესის“ სააგენტო.

ბულგარეთი დღეს

სურათებზე: ბულგარეთის დედაქალაქი სოფია — (ზემოთ) ქალაქის ერთ-ერთი კუთხე; (ქვემოთ) სასტუმრო „ბულგარეთის“ შენობა.

სსრ კავშირი — კანადა: თანამშრომლობა ფართოვდება

„დამზადებულია სსრ კავშირში“ — კანადაში სულ უფრო დიდი რაოდენობით შეხვდებით საქონელს ასეთი მარკით. ეს საქონელი იქ განუხრელად პოულობს აღიარებასა და პოპულარობას, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციას უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მსოფლიოში ცნობილი კომპანიები.

ტრადიციულ სანედლეულო საქონელთან — ბამბასთან, მანგანუმისა და ქრომის მადნებთან ერთად კანადაში სულ უფრო დიდი მოთხოვნით სარგებლობენ საბჭოთა ტრაქტორები, ჩარხები, მძლავრი წნეხები, ტურბინები, სამოქალაქო თვითმფრინავები. ეს ნათლად მოწმობს საბჭოთა მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს მიღწევებს.

საბჭოთა კავშირისა და კანადის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ვითარდება 1956 წლის სავაჭრო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც 1972 წელს კიდევ ოთხი წლით გააგრძელეს. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე წლიური საქონელბრუნვა ერთიორად და მეტად გაიზარდა და 356 მილიონ დოლარს მიაღწია.

საბჭოთა კავშირ-კანადის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო კანადის პრემიერ-მინისტრის პ. ე. ტრუდოს ვიზიტმა საბჭოთა კავშირში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ვიზიტმა კანადაში 1971 წელს. მთავრობათა მეთაურები მაშინ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ორი ქვეყნის ვაჭრობა ნაყოფიერად ვითარდება და რომ არის მისი მოცულობის გადიდებისა და ნომენკლატურის გაფართოების ხელსაყრელი შესაძლებლობანი.

სსრ კავშირისა და კანადის ეკონომიური თანამშრომლობის აქტივიზაციას ახალი სტიმული მისცა კანადის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დიდი დელეგაციის მოგზაურობამ ჩვენს ქვეყანაში კანადის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ა. გილესპის მეთაურობით შარშან ოქტომბერში. კანადის მინისტრმა ამ ვიზიტს უწოდა „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი კანადა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობისა და ეკონომიური ურთიერთობის განვითარების გზაზე“. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. შარპის მოლაპარაკებას საბჭოთა ხელმძღვანელებთან 1973 წლის დამლევს სსრ კავშირში მისი ვიზიტის დროს.

უფრო ადრე შეიქმნა ერთობლივი საკონსულტაციო კომისია მთავრობის დონეზე, რომელიც მოიკვლევს თანამშრომლობის დიდი მასშტაბისა და გრძელვადიანი პროექტების დარგში. იმასთან დაკავშირებით, რომ კანადაში იზრდება მოთხოვნა საბჭოთა მანქანებსა და მოწყობილობაზე, შექმნილია სამი შერეული საბჭოთა კავშირ-კანადის ფირმა, რომლებიც საბჭოთა ტექნიკას ყიდიან.

ფირმა „ბელარუს ეკუიპმენტ ოფ კანადა“ ყიდის საბჭოთა ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობას. მას სავაჭრო-ტექნიკური ცენტრები აქვს ტორონტოში, მონრეალსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში, სადაც უჩვენებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, დებენ კომერციულ გარიგებებს, ასწავლიან საბჭოთა ტექნიკის გამოყენებას და წარმოებს მისი საგარანტიო რემონტი. საბჭოთა ტრაქტორები მეორე წელია მუშაობენ კანადის მინდვრებში. ფირმის საქმიანობის პირველ წელს სხვადასხვა მარკის 620 მანქანა გაიყიდა, წელს კი ამ ციფრმა უკვე 1300 მიაღწია. ჩვენმა ტრაქტორებმა კანადელი ფერმერების ფართო აღიარება დაიმსახურეს როგორც საიმედო და მარტივად სამართავმა მანქანებმა. ერთ-ერთმა უხუცესმა ფერმერმა საბჭოთა სპეციალისტთა საუბარში თქვა: „მახსოვს ის დრო, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა შეერთებული შტატებისაგან ყიდულობდა „ფორდზონებს“. ახლა მდგომარეობა შეიცვალა და საბჭოთა ტრაქტორები მოდიან ამერიკაში. ეს თქვენი ხალხის დიდი წარმატებაა...“

საბჭოთა კავშირ-კანადის მეორე ფირმა „ენეკო“ ყიდის საბჭოთა ჰიდროენერგეტიკულ მოწყობილობას. ფირმამ უკვე გაყიდა ორი ტურბინა, თვითეული 444 ათასი კილოვატი სიმძლავრისა. ისინი განკუთვნილია ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციაში მშენებარე ჰიდროელექტროსადგურისათვის. ფირმამ გაყიდა აგრეთვე ექვსი ტურბოგენერატორი მანიტობის ჰიდროელექტროსადგურისათვის. თვითეული მათგანის სიმძლავრე 29 ათასი კილოვატია. ყველა ამ მოწყობილობის ღირებულება 20 მილიონ დოლარს აღემატება. წარმოებს მოლაპარაკება კანადის სხვა ელექტროსადგურებისათვის ენერგეტიკული მოწყობილობის მიყიდვის შესახებ.

მესამე შერეული ფირმა „სტენკანადა“ ყიდის საბჭოთა ლითონსაჭრელ და ხისდასამუშავებელ ჩარხებს და მძლავრ წნეხებს. თავისი საქმიანობის რამდენიმე თვის მანძილზე მან გაყიდა ნახევარი მილიონი დოლარის მანქანები.

კანადის საქმიანი წრეები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა საავიაციო ტექნიკისადმი. კანადელთა თხოვნით აქ მოეწყო „იაკ-40“ თვითმფრინავის და „კა-26“ ვერტმფრენისა და აეროხომალდების დემონსტრაცია. მიმდინარეობს მოლაპარაკება ამ მანქანების მიყიდვის შესახებ.

კანადაში საბჭოთა ვაჭრობა სრულიადაც არ ამოიწურება სხვადასხვა ტექნიკის გამყიდველი შერეული ფირმების მუშაობით. კანადის ბაზარზე უცვლელი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ფართო მოხმარების საქონელი — ბეწეული, საიუველირო ნაწარმი, ფოტოაპარატები, საათები, მოტოციკლები, წიგნები, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები.

კანადელთა ინტერესი საბჭოთა საქონლისადმი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება სავაჭრო გამოფენებზე, რომლებიც რეგულარულად ეწყობა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. შარშან, მაგალითად, საბჭოთა სავაჭრო გამოფენა ტორონტოში დაათვალიერა სამ მილიონამდე კაცმა. დაიდო 300 მილიონ დოლარზე მეტი თანხის სავაჭრო შეთანხმებანი.

ამ გამოფენის დამთვალიერებელთა შთაბეჭდილებანი კარგად გამოხატა კანადელმა ნორმან ტომასმა. „თქვენ უდიდეს წარმატებებს მიაღწიეთ სხვადასხვა პროდუქციის წარმოებაში — რთული მანქანებით დაწყებული და მასობრივი მოხმარების საქონლით დამთავრებული, — წერს იგი შთაბეჭდილებათა წიგნში. — შესანიშნავია, რომ ყოველივე ეს საბჭოთა ადამიანების ნახელავია. გისურვებთ შემდგომ პროგრესს ცხოვრების ყველა დარგში“.

საბჭოთა კავშირ-კანადის ვაჭრობის შემდგომი გაფართოების პერსპექტივები უაღრესად ხელსაყრელია, უთხრა საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა კანადაში ვ. ნ. მეშკოვმა. კანადის უდიდესი ფირმების წარმომადგენლები მხარს უჭერენ ჩვენთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას. სხვადასხვაგვარ საქონელთან ერთად საბჭოთა ორგანიზაციები სულ უფრო დიდი მასშტაბით ყიდიან კანადაში აგრეთვე წარმოების ყველაზე მოწინავე მეთოდების ლიცენზიებს. რაც შეეხება კანადის ექსპორტს სსრ კავშირში, გარდა ისეთი ტრადიციული საქონლისა, როგორიცაა ტყავის ნედლეული, ხორბალი, ქერი, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა მანქანებს. ამას წინათ საბჭოთა კავშირმა „ფორმოსტ ინდასტრიზის“ კომპანიისაგან იყიდა მძიმე ყველგანმავლები, რომლებსაც უკიდურეს პირობებში იყენებენ. „კანედიენ მაშინერის“ ფირმასთან დადებულია კონტრაქტი კამის საავტომობილო ქარხნისათვის ჩარხების მიწოდების შესახებ, „ველან ინდასტრიზის“ ფირმასთან მიღწეულია შეთანხმება ატომური მრეწველობისათვის მოწყობილობის მიწოდების თაობაზე.

საბჭოთა და კანადელი სპეციალისტების ერთსულოვანი აზრით, ორივე სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის მნიშვნელოვანი გაფართოების დიდი შესაძლებლობანი აქვს. დღის წესრიგშია ეკონომიური თანამშრომლობის ახალი, უფრო რთული ფორმები: კანადის ფირმების მონაწილეობა სსრ კავშირში სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში, მათთვის ასეულ მილიონობით დოლარის ღირებულების კომპლექსური მოწყობილობის მიწოდება, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ერთობლივი დამუშავება, მესამე ქვეყნებში საწარმოთა ერთობლივი დაპროექტება და მშენებლობა და ა. შ.

ახლა კანადის დედაქალაქში მთავრდება დიდი სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობა, სადაც მუდამ იქნება ექსპონირებული საბჭოთა საქონელი და მოეწყობა საბჭოთა სპეციალისტების შეხვედრები კანადის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირისა და კანადის ნაყოფიერი ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობა წარმატებით განვითარდება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

ი. მირონოვი,
(საქდესის კორ.).

ოტავა.

თბილისური ნოველების წიგნიდან

ჯაჭვი

მიხეილ მრევლიშვილი

გარეუბანში ქარხანას აშენებდნენ ერთს, ხალხისთვის სარგოს და საუკეთესოს. თავკაცებმა მშენებლად მოქალაქე ვინმე დანიშნეს, კაცი ჭარმაგი, განსწავლული, ალალი და პატიოსანი. შეუდგა მშენებელი საქმეს. ჯერ იყო და, ნახაზებს დაუწყო გულმოდგინედ სინჯვა. მერე გამოცდილი ოსტატების თავმოყრას შეუდგა. თუ კარგი ხელოსნები არა, უიმათოდ რის მაქნისი ვარო, — გაიფიქრა დალოცვილმა კაცმა და აჰყვა უბნებს. სად კარგი ხუროების დასტა შეკრიბა, სად რჩეული კალატოზებისა და მიწისმთხრელი მანქანების გამოცდილი მძღოლნი. ერთი სიტყვით, აეწყო საქმე საათივით.

ერთხელ იყო და, გაცივდა ჩვენი მშენებელი. ერთი კვირით ლოგინში ჩავარდა. კარგად გამოშუშდა და ისევ საქმეს მიაშურა. გახედა თავის სამშენებლო უბანს და გაშრა. ამწეების ხორთუმები უსიცოცხლოდ გარინდულიყვნენ. არ ისმოდა მანქანების მწყობრი გუგუნი. კალატოზები მიყრილიყვნენ მყუდროში და მოარაკობდნენ.

იკითხა მშენებელმა წყრომით, რასა ჰგავს ესაო.

კალატოზებმა უპასუხეს, ვცდებითო.

იკითხა უფროსმა, თქვენი გაცდენის მიზეზი რა არისო?

აგური არა გვაქვს და რა ვქნათო, — უპასუხეს მუშებმა.

გაბრაზდა მშენებელი ძლიერ: — თქვენ ნუ დაიღლებით, აგურს გიშოვითო! — შესძახა მან და გეზი აგურხანისაკენ აიღო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა... ბოლოს აგურხანას მიადგა და პირდაპირ მოთავესთან მიიჭრა, რათა მლუპავ, აგურს არ მაწვდი. მუშა მიცდებაო...

— დასანანია, მაგრამ თიხა არ მიმიდის და რა ვქნაო, — უპასუხა აგურხანის მოთავემ და ამოიოხრა.

— მაშ რა წყალში გადავვარდეთ, — შესჩივლა მშენებელმა.

— წყალში რათა, თიხა მიშოვე და ისეთ აგურს გამოგიწვავ ფოლადსა სჯობდესო, — დაამშვიდა მშენებელი მასპინძელმა.

— თიხა სად ჯანაბაში ვიშოვოო?..

— ჯანაბაში რათა!.. ჭყანტიანში წადი, იქაურები თიხასა თხრიან, ისეთ თიხას დუნიაზე ვერ იშოვით, — ურჩია აგურხანის მოთავემ სტუმარს.

ჭკუაში დაუჯდა მშენებელს რჩევა და გეზი ჭყანტიანისაკენ აიღო. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, სულ ხევ-ხევ იარა და ბოლოს თიხის მთხრელების სადგომს მიადგა. სადგომთან მთებად ეყარა ოქროსავით ყვითელი თიხა და ეტყობა მუშტარს უცდიდა. იქვე ხალხი შეგროვილიყო და ვიღაც ახოვანს კუდში დასდევდა. ავიდოდა ახოვანი ჭანთხარ კლდის თავზე და ხალხიც ყაყანით მისდევდა, ჩამოვიდოდა ქვევით და ხალხიც ბუზღუნებდა ქვემოთ.

გაარღვია მშენებელმა აფორიაქებული ხალხის გროვა და ახოვანს წინ გადაუდგა, ახოვანმა აღმაცერად ახედ-დახედა მშენებელს და ჰკითხა, შენ რაღა გინდაო?

მოსულმა უპასუხა: — შენი კარგად ფოფნა და ცოტა ოქროო.

— როგორცა ხედავ, კარგად ვარ, მხოლოდ ეგ არი, ოქრო არა მაქვსო, მიუგო მკვახედ ახოვანმა. მაშინ გაუმხილა თავისი გასაჭირი მშენებელმა ახოვანს:

— ის, რაც შენ აქ გიყრია მთებად, ის ჩემთვის ოქროა, ქარხანას ვაშენებ ხალხისთვის და საავგურე თიხა მჭირდება უკვდავების წყალივითაო.

მოიღბა ახოვანი და ჩურჩულით აუწყა მოსულს: — რაც აქ ხალხი გნიახობს და ღელავს, ყველა თიხის მსხოვნელია, ზოგი მეჭურჭლე და ლამაზი ლიტრის მჭრელია, ზოგი ურმიანი ქვევრების ოსტატი. მაგრამ რა ვქნა, მანქანები არა მყავს და პეშვით თიხა ვის წაუღიაო. თუ იყიდდი და მანქანებს იშოვნი, მთელი თიხა შენ წაიღეო.

მშენებელს გაუხარდა და წასვლისას დასძინა: — პირის გატეხა არ იყოს. მანქანებს ვიშოვნი და ვიდრე აქ არ მოვრეკავ, ეს თიხა არავის გაატანოთ, მერე, როცა ჩემსას დავტვირთავ, რაც დარჩება, ვიზედაც უპირიანია იმას მიეციო.

აგრე შეთანხმდნენ. დაამშვიდობნენ ერთმანეთს და გაშორდნენ.

მშენებელი დაადგა დიდ შარახა და კარგახანს იარა მხნედ და ბეჯითად. შარაზე ერთ მოხუცს შეხვდა და ჰკითხა: — აქ მანქანების ფუნდუკი სად არისო? მოხუცმა აუხსნა: — ამ გზაზე იარე სულ პირდაპირ, ორ მუხას რო ჩაუვლი, შარა ორად გაიყოფა და შენც მარცხნივ აიღე გეზი, იარე სულ და ფუნდუკსაც მიადგებიო... — მშენებელმა მადლობა მოახსენა მოხუცს და გაუდგა მითითებულ გზას. იარა ჩვენმა მგზავრმა, იარა და როგორც იქნა მიადგა საწადელს.

ფუნდუკს რო გაჰხედა გაუხარდა ძლიერ და გული სიხარულმა წაიღო. თვალუწვდენელ ფარდულებში კოხტად ჩამწკრივებულიყვნენ ჰეჭიანი მანქანები სხვადასხვა ჯურისა და ნაირი ფერისა.

ქანცმილეული მშენებელი ფუნდუკის გამგებელთან მიიჭრა. გამგებელმა შეათვალიერა დაღლილი მგზავრი და ზრდილობიანად ჰკითხა:

— დაღლილი ბრძანდებით და რათ შეწუხებულხართ?

მოსულმა აუხსნა: — საქმე შეწუხების ტყუპია და მეც ამან მომიყვანა თქვენთან!

რაკი ქარაგმაზე წავიდა საქმე, ქარაგმულად ჰკითხა მეფუნდუკემაც:

— ვინ არი და სად არი ტყუპის ცალი თქვენი საქმისა?

— სად იქნება... ერთიც თქვენ ხელშია და მეორეც!

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! — უთხრა მასპინძელმა სტუმარს.

მაშინღა გაბედა მშენებელმა, ყველაფერი უამბო და თიხის საზიდი მანქანები სთხოვა. მეფუნდუკემ მხრები აიჩეჩა, თავი დახარა და უთხრა:

— მანქანები არა მყავს და როგორ გიშველოო.

— მაშ ეს ამოდენა მანქანები ვისთვის არისო, — იკითხა გაბეზრებულმა სტუმარმა.

— ხალხისთვისაო, — უპასუხა მეფუნდუკემ მორცხვად.

— მე ხელს რა გიშლის, განა მეც ხალხისა არა ვარო? — გაოცდა სტუმარი.

— საბურავები არა მაქვს და მანქანები დგანან. მოგეხსენება, მანქანა უსაბუროდ უვარგისი ყუთია და სხვა არაფერი!

ეს რომ მშენებელმა გაიგო, გული წაუვიდა საბრალოს. ძლივს მოაბრუნეს. რო მოსულიერდა, ზეცას შეჩივლა, — რა მეშველებაო!..

— საბურავები იშოვე და მანქანები ჩემზე იყოსო, — დაამშვიდა მეფუნდუკემ ილაჯგამოცლილი კაცი.

იჯდა სტუმარი ლოდზე და გულმოკლული ჩიოდა: — ხსნა სად არი, მარჩიელ რა ვიღონოო!.. — შეეცოდა მეფუნდუკეს გაწამებული სტუმარი და უთხრა:

— ისევ ქალაქში ჩადი, იქ საბურავების განმანაწილებელი მოხელე ნახე და იქნებ იმან მოგიხერხოს.

მოეწონა ეს რჩევა მშენებელს და დაიმედებული გაუდგა გზას.

ქალაქს ჩასულმა ძებნა დაუწყო იმ მოხელეს და როგორც იქნა, იპოვნა.

იჯდა მოხელე დიდი დარბაზის ერთ კუთხეში, დავთრებით სავსე მაგიდასთან და სათვალემომარჯვებული ამ დავთრებში იქექებოდა. მისულმა მიესალმა მოხელეს და თავისი გასაჭირი უთხრა, ასე და ასეო. მოხელემ სათვალე შეისწორა, სტუმარს ახედ-დახედა, თავი მოიფხანა ფანქრით და დავთრებს მიუბრუნდა. ჯერ ერთი დავთარი აიღო და სალოკი თითით ჩაჰყვა ჩანაწერებს. მერე მეორე, უფრო დიდი და უფრო მსუქანი, იმასაც გულმოდგინედ გააყოლა ისევ ის თითი, მერე მესამე და ასე ყველა დაუსრულებლივ. ბოლოს სათვალე მოიხსნა, ხელსახოცით მინებს დაუწყო თრთქვლა-წმენდა, თან უცხო სტუმარს შეხედა ბეცი თვალებით და უგულო განაჩენი გამოუტანა:

— ჩემ დავთრებში თქვენი ქარხანა არსად არი მოხსენიებული და ვერაფრით დაგეხმარებით.

განრისხებული მშენებელი აფთარივით წამოიმართა, ხელი დასტაცა მაგიდაზე გადაშლილ დავთარს და, ის იყო, მოხელისთვის უნდა ედრუზნა, რომ ყრუდ ჩაესმა შეშინებული მედავთრის ხმა: — მე რას მერჩი, მე დალოცვილო, განა ყველა ჩემგან არისო!

შერცხვა მშენებელს, ეს ზედმეტი მომივიდაო. დავთარი იქვე დააგდო და მოხელესთან ბოდიში მოიხადა: — მაპატიე, გავგიჟდი კაცი, ან ბოლმა მომკლავს, ან სნებაო!.. მოხელემ მიუგო: — თავს რათ იწუხებ, ვინ დაგიფასებსო!

— მერე ჩემს სინდისს სად გავექცეო, თუ დანაკისრს ვუღალატეო, — უპასუხა დაბოღმილმა მოხელეს.

გაკვირვებით შეხედა მედავთრემ მშენებელს და უთხრა: — კაცი კი არა, ბაჯაღლო ოქრო ყოფილხარ და ერთი რამ უნდა გირჩიო, ჩვენს უბანში, აქვე, ახლო, საბურავების შემკეთებელ სახელოსნოში, ერთი ისეთი ოსტატი ჰყავთ, ძველ საბურავებს აკოწიწებს, ახლებს სჯობია!..

ევედრა სტუმარი: — მიშველე რამეო!

— ჰოდა, იმ სახელოსნოს გამგესთან მიდი, ჩემი სახელი უხსენე, მავანმა გამომგზავნა-თქო და ის კაცი, ჩემი ხათრით, რაც რომ საბურავები გჭირდება სულ ერთიანად მოგცემს.

გახარებულმა მშენებელმა დიდი მადლობა მიახსენა მოხელეს და წავიდა იმ სახელოსნოს საძებნელად. მივიდა გამგესთან და უთხრა, მავანმა გამომგზავნაო. ფეხზე წამოუდგა მშენებელს გამგე: — რაზე გარჯილხართო? მშენებელმა უთხრა: — თქვენი შეკეთებული საბურავები მჭირდება ბლომადო. ამის გაგონებაზე გამგეს სახის ფერი დაკარგა.

— რა დაგემართა? — იკითხა გაოცებულმა მშენებელმა.

— რა დამემართა და ჭირი!

— მაინც?

— ერთი ქვეყნად ცნობილი ოსტატი მყავს, მოწინავეთა რიგებშია, არ იქნა და, არ დამიყენეს. აა ახლაც მოთავეთა შეკრებაზე იყო რუსთავში. გუშინ საღამოს ჩამოსულა. დღეს ბარათი გამომიგზავნა, „გაცივებული და დაღლილი ვარ, სამუშაოდ დღესდღეობით ვერ გამოვალო“. სამი დღეა საფინების საამქრო დაკეტილია. საბურავები დაგვიხვავდა. ოსტატს უცდიან! — თქვა გამგემ და შუბლზე ოფლი ბალღადურით გადაიწმინდა.

— ერთ ოსტატზე მთელი საამქროს აკიდება არ შეიძლება! — უსაყვედურა სტუმარმა.

— ეგრე არ არის, შენ რო ფიქრობ. ზოგს ბუნებით მინიჭებული მადლი აქვს. ნიჭიერი ხელოსნებიც იბადებიან, როგორც მხატვრები, მუსიკოსები და მწერლები, — შეუტია მშენებელს გამგემ.

— შენც მართალი ხარ, ცუდ მოქანდაკეს კარგი ხურო მუდამ სჯობია, — დაუყვავა მშენებელმა ბეზარზე მოსულ მასპინძელს.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მშენებელმა გამგესა სთხოვა, იმ ოსტატის ადგილსამყოფელი მიმასწავლეო. მიასწავლა გამგემ და რწყილივით მოუსვენარი მშენებელი გაუდგა გზას.

ოსტატი ტახტზე წამოწოლილი და დაბოღმილი დაუხვდა სტუმარს. იქვე ბალღები ღრიანცელობდნენ და სანდომიანი მანდილოსანი საკერავ მანქანასთან რაღაცას ჯაფობდა.

შემოსულს ფეხზე წამოუდგნენ ცოლიცა და ქმარიც. უცხო სტუმარმა ბოდიში მოიხადა მასპინძლებთან შეწუხებისათვის, თავისი ვინაობა გააცნო, მერე ოსტატს ხელი ჩაჰკიდა, ტახტთან მიიყვანა, იქვე ჩამოჯდა, მასპინძელიც გვერდზე მოისვა, თავისი გაჭირვება ყველა უამბო და ბოლოს დახმარება სთხოვა.

— საქმე გუნებაზე ჰკიდია, — უგულოდ უპასუხა ოსტატმა.

სტუმარმა მასპინძელს უგუნებობის მიზეზი ჰკითხა.

— ეგ გძელი ამბავია, — აარიდა პასუხი ოსტატმა.

ვერა გაუგო რა მშენებელმა ამ პასუხს და გაიკვირვა: — ასეთი დიდი სახელის კაცი ხარ და ბედს რათ უჩივიო!

— სახელი მშრომელ ფუტკარას ჰგავს, თუ ნექტარი არ დაუხვავე უგზო-უკვლოდ გაგიფრინდება. — ამოიოხრა მასპინძელმა.

— ნეტა ეგ რა მოსატანია, — ჩაერთო ცოლი საუბარში. — წამომიწყო ლაპარაკები. შენ ისა თქვა, ჩემზედა ხარ გაჯავრებული... გამინებივრდა, ბატონო და გამიყვინიზდა!.. — მიუბრუნდა მანდილოსანი მშენებელს. — შეკრებაზე რო მიდიოდა, შევპირდი სამუშაო შარვალ-ხალათს შეგიკერავ, ძველმანებს კი ჩვრად ვიხმარ-მეთქი. მომიწონა. წამახალისა. ეს წავიდა და მეც საფარტლეს მივაშურე. კარგი ნაჭერი ვუყიდე და კარგ თარგზედაც გამოვჭერი. ვიცი მაგისი ხასიათი, მუშაობისას ყველაფერი გუნებას უნდა უსწორებდეს. ერთი სიტყვით, გამონაჭრები [illegible] ნისკენ [illegible] ზე და ოხერი ნემსი გამიფუჭდა. [illegible] დუქნებში [illegible] დულები არ დავიარე. ვერ იქნა და საკერავი მანქანის ნემსი ვერ ვიშოვნე. ჩამობრძანდა ჩემი ბატონი და დანაპირი, რომ არ დახვდა გამზადებული, ხმა აღარ გამცა, გამებუტა, გაუბემურდა, დაწვა ტახტზე და აგრე თეთრად გაათენა.

— აბა, ეგ რა მოსატანია! — შეუტია ოსტატმა ცოლს.

— განა არა, მეცა ვტყუვარ, — მოილბო ხმა მანდილოსანმა, — ცოლმა ქმარს უნდა გაუსწოროს გუნება და განწყობილება. ქმრის გარჯა და საქმიანობა დედაბრმა უნდა იცოდეს, მაგრამ ალბათ ყველაფერში ყისმათია დამნაშავე!

ჩააფიქრა ქალის სიტყვებმა მშენებელი და ბოლოს მაინც თავისი თქვა:

— ნემსი რა არის, რომ მაგან საქმე შეგვიფერხოს!

— ნემსს კი არა, თვალში ჩავარდნილ წამწამსაც შეუძლია გუნების შეცვლა, — წაიბუზღუნა ოსტატმა.

— წამწამის გაგონებაზე მშენებელი ფეხზე წამოხტა: — ფიქრი ნუ გაქვთ, საკერავი მანქანის ნემსებს რამდენსაც გინდათ გიშოვითო!

გაკვირვებულმა ცოლ-ქმარმა ვერა გაუგო რა სტუმარს. მშენებელი მიუხვდა მათ და აუხსნა: — ლილოუბანში სახელმწიფო საწყობებია. რა გინდა რომ იქ არა ჰქონდეთ. რა ფარჩა და რა შალეული, რა წალდ-ნაჯახი და სხვა რკინეული. ერთი სიტყვით, ჩიტის რძეც და გუნდა-ლახოსტაკიც. შენ, რომ წეღან წამწამი ახსენე, მეც იმაზე გამახსენდა, იმ საწყობების მთავარ გამგეს მეტ სახელად „წამწამა“ ჰქვია. ის ჩემი ძველი ნაცნობია. აბა, ნემსს როგორ დამიჭერსო! — თქვა სტუმარმა იმედიანად და დრიუჟებით დაემშვიდობა მასპინძლებს.

ჩვენმა მშენებელმა გეზი სწორედ იმ ძველი ნაცნობისაკენ აიღო. მზიანი დღე იდგა და თაგარა ქუჩას ალხვობდა. დახვეწილი მუზაფი იმდოლა საწყობების რიგვს მიადგა, რომ კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა. „აქ წამწამა სად ვიპოვო და ვინ იცის სად იქნებაო“, გაიფიქრა მოსულმა და იქვე ჩრდილში მითვლემილ თოფიანს თვალი შეავლო. „ეს კაცი თუ ყარაულია, რათა თვლემს და თუ თვლემს, თოფი რათ უნდაო“ — გაიკვირვა მშენებელმა და მითვლემილს მაინც მიმართა. — ყარაულო, აქ უფროსი სად იქნებაო?

ცხრამეტი გადათვალე და მეოცეში, — ძილგატეხილი ხმით უპასუხა მხარ-თეძოზე წამოწოლილმა და თოფი თავქვეშ ამოიდო.

თვალა მშენებელმა საწყობები, თვალა და ბოლოს მეოცეში შევიდა. აქ ცოტა გრილოდა და ცოტა ბნელოდა კიდეც. როცა ბინდს თვალი შეაჩვია ჩვენმა სტუმარმა, დაზვინული ტომრების რიგში, უცნაურ ცხოველს მოჰკრა თვალი. ახლო მივიდა. დახედა. დიდხანს უცქირა და ძლივს იცნო. ტყავგადაკრულ, სავიბრუტო, რბილ სავარძელში გულგაღეღილი და ღიპაალბუზებული წამწამა იჯდა. ღვინისაგან გაჟიჟინებულ სახეს და ქონისაგან ალაპლაპებულ ლოყებს მზრიალა საბერველს უშვერდა და ხვარჯებით თვლემდა.

წამწამამ უცხო გუმანით იგრძნო და ცალი თვალი ზანტად გაახილა, მერე ისევ დახუჭა და ნამძინარევი ხმით იკითხა: — შენ ვინა ხარო. სტუმარმა აუხსნა: „მავანიო“ — მერე აქ ვინ შემოგიშვაო? — გაიკვირვა წამწამამ და ახლა მეორე თვალიც გაახილა.

— ვერ მიცანი?.. — გაოცდა მშენებელმა. ღიპაალბუზებული სავარძელში შესწორდა და ტკბილ თვლემაში წასულმა ჩაიბუტბუტა: — რამდენი აქ ოხერი დადის, მე რა ვიციო!..

გაბოროტებულმა მშენებელმა კარგა ხანს უცქირა ფშვინვაში გართულ ლეშს და როცა ველარა გააწყო რა, ერთ ხერხსღა მიმართა. დაიხარა ხმა მოილბო და ყურში ტკბილად ჩასჩურჩულა მთვლემარეს: — ბატონო წამწამა, გაჭირვებული ვარ შენს იქით გზა არა მაქვს, უნდა მიშველო და პატივისცემა ჩემზე იყოსო!

მოხდა სასწაული. ლეში შეირხა ღიპი შეთანთალდა და წამწამამ ორივე თვალი ერთად გაახილა, მერე ის იყო და, სტუმარს გაუღიმა:

— რაო, მშენებელო, რა გაჭირვებაა? — იკითხა წამწამამ და თვალები უცნაურად დაახამხამა.

— ძაან უბრალო საქმეზე გაწუხებ! — მოიბოდიშა სტუმარმა.

— ჩემთან ბოდიში რათ გჭირდება, თქვი...

— საკერავი მანქანის ნემსები მინდა. მთელი ქალაქი შევხარი და...

— ისემე, ვერსად იშოვე?.. დაიცადე, რამდენი გინდა ეგ ნემსები?

— ერთი, — მორცხვად წამოსცრა მშენებელმა.

სავარძელი ღიპიანად წამოიწია.

— რა ერთი?.. ისემე, ერთი გემი, ერთი ვაგონი, ერთი სატვირთო თვითმფრინავი თუ აქლემების ქარავანი?.. მე რა ვიცი შენი „ერთი“ რამდენსა ნიშნავს!

— ერთი შეკვრა, — წაიჩურჩულა მშენებელმა.

— არა მაქ! — მოულოდ მოუჭრა ღიპიანმა, სავარძელი შეატრიალა და თვალები ისევ მილულა.

(დასასრული მე-4 გვ.)



ჯაჭვი

(დასასრული)

— წამწამა! — შეჰყვირა მოთმინებადაკარგულმა მშენებელმა და ციებცხელებამორეული ავადმყოფივით აკანკალდა.

— ზმუკი! — ჩაიხრიალა წამწამამ და სავარძელი შემოაბრუნა, — რათ ვითამ, რა გაღრიალებს, ყვირილით გინდა შემაშინო?

— ნემსები უნდა გამიჩინო, გესმის თუ არა!

— ვერ გაიგე, არა მაქ-მეთქი!

— გაქ!

— მაქ და არ გაძლევ, ჩემი ნებაა და არ გაძლევ!.. ახლა?

— ჩემთვის არ მინდა, საქმეს სჭირდება, გაიგე!

— არსად არ მომასვენებენ, ეს მათხოვრები! — პირი მოხსნა თავის ხაზინვარს წამწამამ. — აქაც მომნახეს, ვერა ხედავთ!... მავანს, ისემე, ფართალი, მავანს ფრანგული ფაიფური. ამას უნგრული საწოლი, იმას ჯანაბა და დოზანა. ახლა ამას ნემსი მოუნდა... მერე, წამწამა, მიდი და ლოკე მარილი ციმბირის საპატიმროში! აღარ ვიცი საით გავიქცე, სად ჯანაბაში დავიკარგო, ვახ! — ამ ვიშვიშში ნაკეცებად ჩასუქებული კისერი ძლივს შეაბრუნა ღიპიანმა და სიღრმეში ვიღაც უხილავს გასძახა: — ბაგრატ, ლუდი!

წამწამამ ხარბად დაეწაფა მორთმეულ ლუდს. ჭიქა დასცალა. აქაფებული ულვაშები ხელისგულით გადაიწმინდა. ერთი მაგრად დააბოყინა და დაიწყო:

— იცი რა გითხრა, მშენებელო, — აქ მობაასემ თვალები ეშმაკურად ახამხამა, — ჩხუბი რათ გვინდა. მოდი, იხემე, მშვიდობიანად გადავწყვიტოთ ჩვენი დაობა... ჰა, რას იტყვი?

— გადავწყვიტოთ, — მოკლედ მოუჭრა მშენებელმა.

— ჰოდა, ასე... ყური დამიგდე... საკერავი მანქანის ნემსებს რამდენიც გინდა იმდენს მოგცემ, უფასოდ მოგცემ, გინდა ერთ ყუთს, გინდა მანქანას დაგიტვირთავ!

— შე დალოცვილო, თუ მაგდენი გაქვს ეგ სიკეთე, ხალხს რათ აწვალებ, რატო სავაჭრო ქსელს არ აძლევ გასასაღებლად?

— მეც მანდა ვარ, მეც ეგა მტკივა, გაიგე!.. ეგ ნემსები მეცხრე საწყობის სულ უკანა კუთხეში მეწყო, სულ ბოლოში. ჰოდა, აი, გადამავიწყდა ვერანა! — მოიბოდიშა წამწამამ.

— მერე?

— მერე, — ამოიხვნეშა ღიპიანმა, — საქონელი საქონელს მოჰყვა. აქ ყუთებიო, იქ პირმოკრული ტომრებიო, იქ დაბეჭდილი კასრებიო და ეს ჩვენი მეცხრე საწყობი სულ ყელთამდე ამოიყორა.

— ესე იგი, იმ ნემსებთან მისადგომი ბილიკები ჩახერგილია! — დაასკვნა მოკლედ მშენებელმა.

— მერე როგორ, თაგვი რა არი, ისიც კი ვერ მოიქნევს კუდს!

— გინდა, წამწამ, ჩემი ბიჭები დაგეხმარო იმ საწყობის დალაგებაში?

— სად გაგიგია, მშენებელო, სხვის მარანში სხვა ჭაშნიკობდეს!

— მაშ შენ შენი არაკი თქვი! — გაუსწორა მობაასემ თვალი წამწამას.

— ჩემი არაკი?... ვარაუდით ათას მანეთს გაუსწორდება. აბა, ისემე, იფიქრე... იმ ვეებერთელა ტომრებსა და ტყვიასავით მძიმე კასრებს ძვრა არ უნდა? — ამოიოხრა წამწამამ და თვალები გულუბრყვილოდ აახამხამა.

— ძვირი არ არის, კაცმა რომ თქვას, მაგრამ ეგ თანხა მე რომელი ხალაროდან გამოვიტანო? — შეეკითხა მშენებელი მცდელი კილოთი წამწამას.

ამ სიტყვების გაგონებაზე, ღიპიანმა მარცხენა თვალი მოხუჭა და ეშმაკურად გაუღიმა მშენებელს:

— მაშ დავიჯერო ანგელოზივით ხუფთა ხარ და იმ ქარხნის მშენებლობიდან ხელის ჭუჭყი არა გრჩება რა?

— შენ, წამწამა, მყრალი ვირთაგვა ხარ, ხალხის ხარჯზე გასუქებული, არ შეგრჩება ეს მსუნაგობა, იცოდე! — შეჰყვირა ჯაანჩხლებულმა სტუმარმა და მასპინძელს ზურგი აქცია.

— წადი, მიჩივლე, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! — ჩაესმა სტუმარს ღიპიანის სისინი და მერე ისევ უტიფარი ბრძანების ხმა: — ბაგრატ, ლუდი!

გველნაკბენივით გამოვარდა მშენებელი საწყობიდან სუფთა ჰაერზე. მუნშეპყრობილი სნეულივით ექავებოდა მთელი ტანი. ატოკებული გულის ძგერა სუნთქვას უკრავდა. აზიდებდა.

კაკლის ფესოზე ჩამომჯდარი მშენებელი, ჩრდილისა და გრილი ნიავის წყალობით, თანდათან მოსულიერდა. საწყობების რიგს გახედა და გადაწყვიტა:

— არა, ამ საქმეს ეშვანი უნდა შეებას აუცილებლად. პაწაწას ხელში ხალხის სიმდიდრის მიბარება არ შეიძლება. ნემსი რა არის, წვრილმანია, მაგრამ ხალხს უთქვამს, „ნემსისა და აქლემის ქურდი ერთიაო".

ბევრი იფიქრა მშენებელმა: — გაჭირვებას რით ვუშველოო. ბევრჯერ ზომა, ბევრჯერ წონა და ბოლოს მაინც გადაწყვიტა: — სულ უფროსი მართლმსაჯული უნდა ვნახოო. ვინც მშენებლობა დამავალა, ჩემი ბედიც დაე იმან გადაწყვიტოსო.

მართლმსაჯული გულღიად შეხვდა მშენებელს. გვერდით მოისვა სტუმარი და გამოჰკითხა მიზეზი შეწუხებისა. მშენებელმა ყველა უამბო წვრილ-წვრილად. ერთი ეგ არის, წამწამა მაინც შეიბრალა, ქრთამზე სიტყვა არ ჩამოაგდო. დაერიდა, ეუხერხულა, გაიფიქრა: — „სულიერია ღიპიანი, რათ დავღუპოო".

მართლმსაჯული მავთულებით დაუკავშირდა უხილავს და უბრძანა: —საწყობების მავანი გამგე დაუყოვნებლივ მომგვარეთო! — მერე მშენებელს მიუბრუნდა: — დაღლილი ხარ, შენ იმ ოთახში მოისვენე, თუ დამჭირდი, დაგიძახებო.

მშენებელმა მითითებულ კარს მიაშურა, შესასვლელი რატომღაც ღრიჭოდ დატოვა, იქვე ჩამოჯდა სავარძელში და მგზავრობით ქანცმილეული ერთბაშად თვლემას მიეცა. რა ხანსა სთვლიმა, ღმერთმა უწყის... ეგ არის, რომ ხმამაღლა საუბარმა გამოაფხიზლა.

— მაშასადამე, როგორც ამბობ, ყველაფერი წესრიგშია შენს საწყობებში, არა? — ჩაესმა ყურთ ნამძინარევს მართლმსაჯულის დინჯი ქართული.

მშენებელმა ვერ მოითმინა, სულმა წასძლია, სავარძელი დატოვა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა კარის ღრიჭოს. ჭუჭრუტანაში გაარჩია წამწამას ლანდი და განცვიფრდა ფერისცვალებით. კოხტად ნაკერი სამოსელი ლეშს უფარავდა ღიპიანს. გაქათქათებულ საყელოს ზოლებიანი ყელსახვევი საუცხოოდ ეხამებოდა. ერთი სიტყვით, მართლმსაჯულის წინ, სულ მცირე და, შაჰინშახის ვაზირი იდგა. ეგ არის, რომ წამწამებს ძველებურად ახამხამებდა.

— ვცდილობთ, უფროსო, ისემე, ძლიერა ვცდილობთ! — თავმომწონედ წამოიძახა წამწამამ და ყელსახვევი შეისწორა, ალბათ უჭერდა უბედურს.

— ძალიან კარგი... ლუდი გიყვარს? — სხვათა შორის ჰკითხა სტუმარს უფროსმა და ჭიქა აუვსო. ღიპიანის წითურ სახეს ბაცი სიყვითლე შეეპარა. მიხვდა, ვიღაცა მახეს უგებდა.

— არა... გმადლობთ... — ჩაიფრუტუნა წამწამამ და ლუდის ჭიქა აირიდა.

— ეს მითხარი, საკერავი მანქანის ნემსებს თუ უნაწილებ სავაჭრო ქსელს? — დინჯად ჰკითხა მართლმსაჯულმა.

წამწამას წამოანათა. მიხვდა უმალვე. — „ეს ყველაფერი იმ მშენებლის თინიაო".

— პატივცემულო უფროსო, — დაიწყო მან მობოდიშებით, — მაგ ნემსებმა რამის არი გადამიტანონ!

— როგორ? — დაინტერესდა მართლმსაჯული.

— გაფუჭდა ხალხი, უფროსო, ძლიერ გაფუჭდა. საკუთარი შვილი რო არი, იმასაც კი ვეღარ ენდობი!

— უფრო ზუსტად? — შუბლი შეიკრა მართლმსაჯულმა.

— ჩვენ შორის დარჩეს, უფროსო და, ერთმა ჩვენმა ძველმა ნაცნობმა მშენებელმა, ქრთამი მაძლია მაგ ნემსებში. გავგიჟდი კაცი. არა, ვითომ მე რომელი მექრთამე მნახა!... წამოიძახა აღშფოთებულმა წამწამამ.

კარს უკან მდგომი მშენებელი, გულსმოწოლილმა სიანჩხლემ, ფოთოლივით ააკანკალა, მაგრამ სადავე დაუჭირა თავის ანჩხლობას. გაიფიქრა: — „აჩქარება არ ივარგებს, თუ დავჭირდი, მართლმსაჯული დამიძახებსო".

დარბაზიდან კვლავ ისმოდა დინჯი ბასი: — ვინ იყო და საიდან იყო ის შენი ქრთამის მძლეველი? — ჰკითხა წამწამას მართლმსაჯულმა.

— მაგას ნუ მკითხავთ, უფროსო, მე მაგისი კაცი არა ვარ. გარდა მაგისა, არც მოწმე მყავს, ორნი ვიყავით... დიახ, ისემე, მარტო ორნი...

— კარგი, რაკი არ გინდა, ნუ იტყვი, შენი ნებაა... რაც შეეხება საკერავი ნემსების საკითხს, დაიხსომე, დღესვე უნდა გაუნაწილო სავაჭრო ქსელს!

— მესმის, მაგრამ... აი... ისემე

— არავითარი ისემე!.. — მართლმსაჯულმა საათს დახედა, — სრული თორმეტი საათია. დღის ბოლოსთვის ეგ ნემსები სავაჭრო ქსელის თაროებზე უნდა ელაგოს. ხვალ ათ საათზე მობრძანდი და შენ პირადად მაუწყე ამ დავალების შესრულება, ოღონდ გახსოვდეს, ნემსი ძალიან პატარაა, მაგრამ სასტიკად იჩხვლიტება... ჰო, სრულიად გადამავიწყდა... რაც შეეხება „ბაგრატას ლუდს", ამაზე მერე ვითათბიროთ. ახლა წადი!

პანღურნაკრავი ბურთივით გავარდა ღიპიანი სადარბაზოდან. მართლმსაჯულმა მშენებელს უხმო:

— მოისმინე ჩვენი ბასი?

—დიახ...

თვალით გაზომა მასპინძელმა თავჩაქინდრული სტუმარი და დაასკვნა:

— ჩემთვის ცხადია, ყაჩაღია და ქურდია შენი წამწამა!

— ჩემი რათა? — გაიკვირვა გულამღვრეულმა მშენებელმა.

— იმათა, რომ ხელს აფარებ ხალხის ქონების მიმტაცებელს, არაკაცსა და ავაზაკს. ვითომ რა არის შენი სიკეთის საფასური, შებრალება სულიერისა?.. მაშ არ ესროლო ცხვრის ფარეხში შევარდნილ მგელს, ისიც ხომ ღვთისგან გაჩენილი სულიერია!

— არ მეგონა, ჩემი ალალი ნაამბობი, თუ თქვენ წყრომას გამოიწვევდა! — შეესიტყვა გაჯავრებული მშენებელი.

— მაშ მითხარი, რამდენს დაჰპირდი წამწამას ნემსებში?

— მე რა მაქვს და იმას რას დავპირდებოდი?

— ხომ ხედავ, მგელმა მგლობა არ მოიშალა. თავისი ჭუჭყით შენი გასვრა მოიწადინა. ცილი დაგწამა, მშენებელი ქრთამს მაძლევდაო. მე კი ვფიქრობ, უკულმა მოხდა ეგ ამბავი, იმან გთხოვა და შენ არ დაჰყევი. მართალი ვარ?

— დიახ... უპასუხა მოხარშული კიბოსავით გაწითლებულმა მშენებელმა.

— ჰოდა, გახსოვდეს, შენი სიმდიდრე პატიოსანი შრომაა და ეცადე ეგ ქონება არავინ არ დაგიხურდაოს! — რაც შეეხება საბურავების ოსტატის გუნებას, თუ ცუღლუტობა არ არი, ჩემგან აბა რა გესწავლება, შენც კარგად იცი, ადამიანის გუნება და განწყობილება მთასა სძრავს და მდინარეს კალაპოტს უცვლის. მაგრამ კაცის გუნებაც და განწყობაც მალალია, ყაჭის ძაფსა ჰგავს, ნემსის ყუნწშიაც გაძვრება და დიდ მახათშიაც, მაგრამ თუ გაწყდა, აბლაბუდად აიწეწება! — დააბოლოვა მართლმსაჯულმა, გზა დაულოცა მშენებელს და გაუშვა.

ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისათვის

მოძმე ლიტერატურათა მეგობრობა

ახალგაზრდა ბულგარელი პოეტების — ლუბომირ ლევჩევის, ქრისტო განოვის, გიორგი კონსტანტინოვის, მათე შოპკინის, ლილიანა სტეფანოვას ლექსები ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა პოეტმა მორის ფოცხიშვილმა. ბულგარელი ლიტერატორები იყვნენ ჩვენს რესპუბლიკაში, გაეცნენ ქართველ თანამოკალმეებს, დაამყარეს მათთან მეგობრული კონტაქტები.

დიდი ხნის ფესვები აქვს ქართული და ბულგარული ლიტერატურების მეგობრობას. მათ აკავშირებს ჰუმანიზმობის, თავისუფლებისმოყვარეობის, ძმობის იდეების ერთობა, ჩვენში ბულგარეთის მწერლების ნაწარმოებთა თარგმნის შესანიშნავი ტრადიციებია. ქართველ მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ მშობლიურ ენაზე წაიკითხონ ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსთა — ქრისტო ბოტევისა და ივანე ვაზოვის ნაწარმოებები, რომლებიც თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ. მკითხველებმა შეიყვარეს ბულგარეთის მწერალთა კავშირის მდივნის გ. კარასლავოვის წიგნები. ესენია „დედამთილი" (ვ. აკობაშვილის თარგმანი) და „ლენკო" (დ. კაკაბაძის თარგმანი).

წლითიწლობით მტკიცდება ქართული და ბულგარული ლიტერატურების მეგობრული კავშირი. პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა ამ შესანიშნავ მოძმე ქვეყანას მიუძღვნა საუკეთესო ლექსები. ამ ლექსებში იგრძნობა დიდი სიყვარული ბულგარელი ხალხისადმი, მისი კულტურის პატივისცემა, სიხარული იმ წარმატებათა გამო, რომელიც ბულგარელმა ხალხმა მოიპოვა სოციალიზმის მშენებლობაში.

ახლახან თბილისში გამოვიდა „თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია". წიგნის მთარგმნელი და შემდგენელია მ. მაჭავარიანი. ანთოლოგია, რომელშიც შევიდა ბულგარეთის 44 ლირიკოსის შემოქმედება, გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ".

— თანამედროვე ბულგარული პოეზია საინტერესოა აზროვნებითა და მხატვრული განსახიერებით, — თქვა მ. მაჭავარიანმა. — ლექსებში შერწყმულია კლასიკოსა და თანამედროვე რეალისტური ლიტერატურის ტრადიციები.

ბულგარეთში დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ლიტერატურისადმი. პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდება მასალები საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაზე. ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად ყოფნისას ბულგარელმა პოეტმა ლილიანა სტეფანოვამ თქვა, რომ თარგმნის პოეტ ი. ნონეშვილის ლექსებს, რომლებიც გამოვა ბულგარულ ენაზე. ბულგარელი მკითხველები მშობლიურ ენაზე გაეცნობიან საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის რ. ამაშუკელის ნაწარმოებებს.

ახლა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში" გამოდის ბულგარელი მწერლის ა. გულიაშკის წიგნი „აბაკუმ ზახოვის თავგადასავალი"—კონტრმზვერავების დაძაბული მუშაობის შესახებ, რომლებიც ეწევიან მძიმე ბრძოლას სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ.

გამომცემლობა „ნაკადული" გამოუშვებს რ. ბოსილეკის ნაწარმოებებს ბავშვებისათვის. (საქინფორმი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულებით სოფლები ბნავისი, წედისი, ღვარები, ოლოზი და ზემო ქსოვრისი გამოეყო გორის რაიონის ხიდისთავის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა გორის რაიონის ატენის სასოფლო საბჭოს.

ამ სოფლებიდან ხიდისთავის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს რწმუნებანი შეუნარჩუნდათ ატენის სასოფლო საბჭოში.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერი მითაიშვილი —

„ქალიშვილები პლანტაციისაკენ მიიჩქარიან".

რაც თვალს არ გამოეპარა

ჩამქვდარი წყარო

თელავ-ყვარლის მთავარი გზიდან სოფელ შაქრიანის აღმოსავლეთით ტყით დაბურული მთის ძირას კარგად მოჩანს ერთსართულიანი გრძელი, თეთრი შენობა. ახლოს მისვლისას კი თვალწინ სავალალო სანახაობა გადაგეშლებათ: შენობის სახურავი ნახევრად აყრილია და კედლები ალაგ-ალაგ საგრძნობლად დაზიანებული. მორყეული და ღიად დარჩენილი კარებიდან ოთახებში აბაზანები და სხვა ხარა-ხურა მოჩანს, ეზოში კი წყალგამთბობის ნარჩენები ყრია.

ეს ერთ დროს სახელგანთქმული „მუნის წყაროს" საბაზანო გახლავთ, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ჯერ ყვარლის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები პატრონობდნენ, შემდეგ კი „მზრუნველობა" საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკურორტო სამმართველომ იკისრა.

ეს მინერალური წყალი, რომელიც გოგირდ-წყალბადის შემცველია, ოდითგანვე ყოფილა ცნობილი. ძველი აბანოების ნაშთები და ხალხური გადმოცემები ადასტურებენ, რომ „მუნის წყარო" კახეთის სატახტო ქალაქ გრემის მნიშვნელოვანი სამკურნალო დაწესებულება ყოფილა და თურმე დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა.

ამ წყლით სარგებლობა შემდგომშიც გრძელდებოდა. შარშანდლამდე აქ ყოველთვის ხალხმრავლობა იყო, ავადმყოფების დიდი ნაწილი წყაროს მახლობლად დადგმულ კარვებში და სოფელ შაქრიანში ცხოვრობდა, ხოლო თელავის, ყვარლის, გურჯაანისა და ახმეტის რაიონებიდან ავტომანქანებით მოდიოდნენ სამკურნალოდ, სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობით მკურნალობდნენ და მეტწილ შემთხვევებში უკან გაჯანსაღებულნი ბრუნდებოდნენ.

როგორც მოგახსენეთ, ახლა „მუნის წყაროზე" სიცოცხლე ჩამკვდარია და აქაურობას ადამიანის ყურადღების ნატამალიც აღარ შერჩენია.

— „მუნის წყაროს" მახლობლად — განაცხადა კურორტ „ოქტომბერ-შაქრიანის" დირექტორმა თ. გოგიტაშვილმა, — საბურღი სამუშაოები ჩატარდა, მინერალურ წყალს იქვე მახლობლად გამომდინარე მტკნარი წყალი შეერია და დაქვეითდა სამკურნალო წყლის თვისებები, ამიტომ არის რომ აქაურობა ასე გავერანდა.

მაგრამ იმავე ადგილზე, სადაც გაბურღვამდე მინერალური წყალი მოსჩქეფდა, წყალი მცირე რაოდენობით ახლაც გამოდის. როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, ბურღვის დროს თურმე სულ დაიკარგა, შემდეგ კვლავ გამოჟონა და ახლა თანდათან მატულობს.

ასე, რომ ეს მადლიანი წყარო არ დაკარგულა. მას ახლა მზრუნველი ადამიანის ხელი უნდა მოევლინოს, რომ პირვანდელი სიცოცხლე აღუდგინოს და ადამიანისავე სამსახურში ჩააყენოს. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა ითაოს ეს კეთილშობილური საქმე.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან

ჭიათურა. (საკ. კორ.). ურთიერთს ეჯიბრებიან ჭიათურელი და ტყიბულელი მშრომელები. ისინი იბრძვიან მეტი მარგანეცის, ქვანახშირის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის.

ამ შეჯიბრებას მიეძღვნა საქალაქო გაზეთების „ჭიათურის მაღაროელისა" და „ტყიბულის" შემცვლელი ნომრები.

გაზეთების ეს ნომრები მდიდარია წერილებით, ინფორმაციებითა და ფოტოილუსტრაციებით. „ჭიათურის მაღაროელმა" და „ტყიბულმა" ნომრების გაცვლით კარგი საქმე გააკეთეს. ამით ხელს შეუწყობენ ორი ქალაქის მშრომელთა დამეგობრებას, სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლას.

პ. ჭიოკაძე.

ახალი მხატვრული ფილმი

ფოთს სამართლიანად თვლიან ფეხბურთის სამშობლოდ საქართველოში. აქ ცხრაასიან წლებში ლელოსთან ერთად ფეხბურთიც გავრცელდა.

სწორედ ამ ფონზეა აგებული ლევან ჭელიძის სცენარი „პირველი მერცხალი", რომლის მიხედვით კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელი ჯგუფი ფოთში იღებს ახალ მხატვრულ ფილმს. მისი დამდგმელი რეჟისორია ნანა მჭედლიძე, ოპერატორი — გიორგი ჭელიძე, მხატვარი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. თაყაიშვილი, კომპოზიტორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. კახიძე.

ფილმის კონსულტანტად მოწვეულია ფოთში აღზრდილი ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე.

მთავარ როლებში იღებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტებს ი. ხვიჩიას და დ. აბაშიძეს.

კ. კომახიძე.

საქართველოს მთა-ბარში

„რკინის ჯვარზე" — მწყემსებთან

მაიაკოვსკის რაიონში ზღვის დონიდან 3000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს საზაფხულო საძოვრები ე. წ. „რკინის ჯვარი", სადაც საქონელს აძოვებენ მეზობელი რაიონების, მათ შორის თერჯოლის რაიონის (გოდოგნის, კვახჭირისა და ჭოგნარის) კოლმეურნეობების მწყემსებიც.

აღნიშნულ საძოვრებზე მწყემსებს ეწვივნენ თერჯოლიდან პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ქოჩიაშვილი, პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე ლ. ნემსიწვერაძე, თერჯოლის სარაიონო ბიბლიოთეკის გამგე თ. ფანჩულიძე, თერჯოლის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ზოოტექნიკოსი ი. ბერძული, თერჯოლის კულტსახლის დირექტორი შ. ბენდელიანი, ღვანკითის სასოფლო კლუბის გამგე დ. რობაქიძე და აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. კუბლაშვილი.

„რაიონის მეცხოველეთა ამოცანები მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს" — ასეთი იყო მოხსენების თემა, რომლითაც მეცხოველეთა წინაშე გამოვიდა სოფლის მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ი. ბერძული, ხოლო ლექცია თემაზე — „რაიონული ბიბლიოთეკა სოფლის მშრომელთა სამსახურში" წაიკითხა რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა თ. ფანჩულიძემ, რომელმაც მოწინავე მწყემსებს ძმებს გ. და უ. გოგლიჩიძეებს, ლ. კირკიტაძეს, ი. გაბრიჭიძეს, გოდოგნის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგეს ჟ. გიორგაძეს და სხვებს — სულ 16 კაცს რაიონული ბიბლიოთეკის სახელით გადასცა სამახსოვრო საჩუქრები. დასასრულ აგიტმხატვრულმა ბრიგადამ მწყემსთათვის გამართა კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ ადიგენის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ზესტაფონისა და სამტრედიის რაიონების მწყემსებიც.

ვ. კუტალაძე.

სურათზე: თერჯოლის რაიონული ბიბლიოთეკის გამგე თინა ფანჩულიძე სამახსოვრო საჩუქარს გადასცემს ვეტერან მწყემსს უ. გოგლიჩიძეს.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

მძლეოსნობა

„სტადიო ოლიმპიკოზე"

ვ. ბორზოვსა და ვ. გოლუბნიჩის — ოქროს მედლები

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვალერი ბორზოვმა კვლავ დაამტკიცა, რომ იგი ევროპაში ყველაზე სწრაფი მორბენალია. კიეველმა სპრინტერმა რომში, კონტინენტის ჩემპიონატზე მოიგო ფინალური გარბენი 100 მეტრზე — 10,27 წამი და ევროპის სამგზის ჩემპიონი გახდა.

ფინიშზე მეორე იყო მოსკოვის „უნივერსიად-73"-ის ჩემპიონი იტალიელი პეტრო მენეა — 10,34. ფინალში ბორზოვის გარდა გამოდიოდა კიდევ ორი საბჭოთა სპრინტერი — რიგელი იური სილოვი — 10,35 (მეოთხე ადგილი) და მოსკოველი ალექსანდრე კორნელიუკი — 10,43 (მერვე ადგილი).

ქალთა შორის 100 მეტრზე ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობდა „სპრინტის დედოფლებს" — რენატა შტეჰერსა (გდრ) და პოლონელ ირენა შევინსკას შორის. პოლონელი სპორტსმენი ფინიშზე მეტოქეზე წამის მეათედით ადრე მიიჭრა. მოსკოველმა ლიუდმილა მასლაკოვამ მეოთხე შედეგი აჩვენა — 11,36 წამი.

დიდ წარმატებას მიაღწია 38 წლის ვეტერანმა, უკრაინელმა სპორტსმენმა ვლადიმერ გოლუბნიჩიმ, რომელმაც სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე ოქროს მედალი მოიპოვა—1:29.30,03. აღსანიშნავია, რომ ვ. გოლუბნიჩიმ, რომელიც საკავშირო ნაკრებში 1956 წლიდან გამოდის, აქვე, იტალიის დედაქალაქში, გაიმარჯვა ოლიმპიადაზე 14 წლის წინ. ვერცხლის მედალი მოიპოვა ბერნარდ კანენბერგმა (გფრ), ბრინჯაოსი — მინსკელმა ვლადიმერ შალოშიკმა.

შუბის ტყორცნაში ევროპის ჩემპიონი ქალთა შორის მსოფლიოს ახალი რეკორდით გახდა დორის ფუკსი (გდრ) — 67,22 მეტრი, ხოლო სიგრძეზე ხტომაში — უნგრელი ილონა ბარუქნიაკი — 665 სმ.

ხუთჭიდი

მეოთხე სახეობა

თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები მიტიშჩის სასროლეთიდან კვლავ დაბრუნდნენ ლუჟნიკში — ამჯერად საცურაო აუზზე.

წარმატებით გამოვიდა ხუთჭიდის მეოთხე სახეობაში კანადელი ჯონ ჰაასი. მიუხედავად ამისა, ლიდერობას კვლავ ინარჩუნებს საბჭოთა სპორტსმენი პაველ ლედნიოვი — 4155 ქულა. მეორე ადგილზეა ბორის ონიშჩენკო — 4099, მესამეზე — ამერიკელი ჯონ ფიტცჯერალდი — 4066, მეოთხეზე — ვლადიმერ შმელიოვი — 4014 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი სამეული ასე გამოიყურება: სსრ კავშირი — 12.280 ქულა, უნგრეთი — 11.858, რუმინეთი — 11.372.

იუნიორთა ტურნირს ახალი ლიდერი ჰყავს — მოსკოველი ვლადიმერ გალავტინი — 4.225 ქულა.

გუშინ ხუთჭიდელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პროგრამის უკანასკნელ სახეობაში — მძლეოსნურ კროსში.

მოკლედ...

ჭადრაკი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ტრადიციულად ატარებს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის მემორიალს. უკვე გაიმართა ორი ასეთი ტურნირი.

გუშინ სოხუმში გაიხსნა ვ. ქარსელაძის მესამე მემორიალი. მასში მონაწილეობს 14 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი. მემორიალი 26 სექტემბრამდე გასტანს.

ნიჩბოსნობა. კიევში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთაგან თავი ისახელა ქალთა დუეტმა ლეილა კახურაშვილისა და მანანა გვრიტიშვილის მონაწილეობით, რომლებიც პირველ ადგილზე გამოვიდნენ. ვაჟთა წყვილი — ნ. ფილიევი და ა. ინაძე მესამე ადგილზე არიან.

ფეხბურთი. გუშინ მოსკოვში ლუჟნიკის სტადიონზე გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი დედაქალაქის „სპარტაკსა" და დონეცკის „შახტიორს" შორის. ანგარიშით 3:1 (2:0) გაიმარჯვეს დონეცკელებმა. ბურთები გაიტანეს: სოკოლოვსკიმ, სტარუხინმა (2) და სპარტაკელმა ანდრეევმა.

შემთხვევა

დააკავეს ბოროტმოქმედი

ა. ოგანეზოვი ხუთჯერ იყო ნასამართლევი სხვადასხვა დანაშაულისათვის. იგი არსად არ მუშაობდა, და როგორც წესი, ასამართლებდნენ ბოროტი ხულიგნობისათვის, რომელსაც მთვრალი სჩადიოდა ხოლმე.

უკანასკნელად ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყო სამი მოქალაქე, მაგრამ სასჯელს თავი აარიდა — დანაშაულის ადგილიდან გაიქცა.

მთელ წელს იმალებოდა ა. ოგანეზოვი. მას მილიციის ორგანოები ქვეყნის ყველა კუთხეში ეძებდნენ. და ერთი წლის შემდეგ მის კვალს მიაგნო ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ინსპექტორმა გ. ალიბეგაშვილმა. ოგანეზოვის დაკავების ოპერაციას სათავეში ჩაუდგა კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე გ. სტურუა. და თუმცა ბოროტმოქმედი შეიარაღებული იყო, ოპერაციამ, რომელშიც მონაწილეობდა გ. ალიბეგაშვილი, წინასწარ შემუშავებული გეგმის სრული შესაბამისობით ჩაიარა.

მალე გაქცეული წარსდგა სასამართლოს წინაშე, რომელმაც ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სულ ამ ბოლო წლინახევრის განმავლობაში სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ინსპექტორმა გ. ალიბეგაშვილმა მონაწილეობა მიიღო 19 პირის დაკავებაში, რომლებზეც სრულიად საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული. მათ შორის დააკავა ვინმე კნიაზიანი და ალიასკაროვი, რომლებსაც ეძებდნენ სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის. (საქინფორმი).

ტელევიზია

5 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „ბურატინოს გამოფენა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო სპექტაკლი „დომბი და მისი შვილი" (პირველი ნაწილი), 12.30 — ფერადი ტელევიზია. „მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ადამიანი სამოქალაქო ტანსაცმელში", 17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 17.30 — ლიტერატურული გადაცემა „თეოდორ დრაიზერი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — მოსწავლეთათვის „პირველი სიმაღლე", 18.30 — განცხადებები, 18.35 — „70-იანი წლების კომუნისტები", 18.55 — კინონარკვევი, 19.05 — „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები", 19.30— „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კვირეულის გახსნა. ტრანსლაცია სახელმწიფო საკონცერტო დარბაზიდან, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუმიების ომი". პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.05 — ფერადი ტელევიზია. — ევროპის პირველობა მძლეოსნობაში (გადმოცემა იტალიიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 18.35 — განცხადებები, 18.40 — სატელევიზიო ფილმი „კოცონი თოვლზე", 19.40 — კონცერტი, 20.20 — მხატვრული ფილმი „სიცოცხლისაკენ მობრუნება" (პირველი სერია).



რადიო

5 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — ნარკვევი „მუშის პედაგოგიკა", 12.15 — შ. მილორავას სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ხალხური ლექსები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.40 — მოსწავლეთათვის. საუბარი „ქართული წიგნი საზღვარგარეთ", 18.05 — დ. არაყიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე", 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — ქართველ კომპოზიტორთა სავიოლინო პიესები, 22.00 — ვ. ჭელიძე. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები", 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. თათარიშვილი.

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 [უე 02808
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14